


გილოცავთ ახალ, 2017 წელს!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბედნიერ ბეჭდურ სიღყვას, ცყუილებით და ჭებებით ბურთის გატანა ყვულა უკადრისებაჲ უსამაგლესია.

პარასკევი, 30 დეკემბერი. 2016 წ. №245 (81376), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



წელს მეკვლევა მამალი, უჩნალი და ფრთამალი, — დაე, იმის ვიუდიუო უოფიდიუოხ წამალი — სწრაფი განვითარება დასტუობოდეს დროებას! თექვსმეტს ენამ უვიულა, კარზე მამდგარ წვიდმეტს კი ევი-ვიუდი-უოება!..

ჩვენი რეალური სამუშაოს, 3 ინვესტორს, განსახლებს მუშაობას!



2016: თავისუფლებისა და ადამიანზე ზრუნვის წელი

ჩვენ ღვიძრავთ უმთავრესი, ჩვენი თავისუფლება

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 2016 წელი შეაჯამა და განაცხადა, რომ 2016 წელი იყო თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების წელი, რომელიც დასრულდა „ქართული ოცნების“ გამარჯვებით.

„ეს იყო მნიშვნელოვანი ცვლილება არჩევნების ჩატარების წესში, კულტურაში. ძალიან მისასალმებელია, რომ ეს აღინიშნა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომ საქართველოში ჩატარდა, გამჭვირვალე, დემოკრატიული არჩევნები.“

ჩვენ ახალი და კონკრეტული გეგმით წავდებით ხალხის წინაშე. ჩვენი სლოგანი იყო „თავისუფალი, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, რაც რეალურად აჩვენებს ჩვენ მიერ არჩეულ მთავარ ხაზს. ჩვენ დავიბრუნეთ უმთავრესი, ჩვენი თავისუფლება, ამაში ვგულისხმობ ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებას – ადამიანის უფლებებს.

ის პროგრესი, რომელიც ჩვენ ამ მიმართულებით გვაქვს, აღნიშნულია არაერთი საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ...“

სივრცითი მოწყობით საქართველო განვლავს ოთხი საზონის გარდასვლას

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი განაცხადა, რომ მთავრობამ უდიდესი სამუშაო გასწია და მოამზადა 4-პუნქტიანი გეგმის ყველაზე მასშტაბური კომპონენტი – ეს არის ქვეყნის სწორი სივრცითი მოწყობის ზუსტი ხედვა და კონცეფცია.

– პრაქტიკულად, ეს ჩვენი ქვეყნის ახალ, გეოგრაფიულ, გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ მოწყობას ნიშნავს. ეს ნიშნავს სრულიად ახალ შესაძლებლობებს, როგორც ქვეყნის გარეთ პოზიციონირებისთვის, ასევე ქვეყნის შიგნით, ჩვენი მოქალაქეებისთვის.

ეს არის თანამედროვე მოთხოვნებზე და ქვეყნის სწრაფ განვითარებაზე ორიენტირებული მოწყობა. ყველა ძირითადი სფეროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი ქვეყნის ნებისმიერ წერტილში, ასევე მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი უზრუნველყოფს განათლების თანამედროვე ტექნოლოგიების მიტანას ქვეყნის ნებისმიერ წერტილში, მათ შორის მაღალმთიანი სოფლების სკოლებში.

ეს არის უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელიც ქვეყნის განვითარებაში იქნება სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისი.

სივრცითი მოწყობის რეფორმის ფარგლებში მომზადდა ქალაქებისა და სოფლების განაშენიანების რეგულირების გეგმები, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ არ მოხდეს ქალაქური განაშენიანება. სივრცითი მოწყობით საქართველო განვლავს ოთხი სფეროს ტურისტული ქვეყანა, – განაცხადა პრემიერმა.

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ღვიძრავთ ადამიანზე ზრუნვა!

„მთელი ჩვენი ენერჯია ხელისუფლებაში მოსვლისთანავე იყო ადამიანის გადარჩენაზე ორიენტირებული. ჩვენ გვქონდა კონკრეტული გამოწვევები 2012 წლიდან მოყოლებული და ვინაიდან ქვეყანა იყო განვითარების სწორ გზაზე დასაყენებელი, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, დავინწყეთ ადამიანზე ზრუნვა. 2016 წელს ჩვენ გამოვაცხადეთ განვითარების ახალი ეტაპი და წარმოვადგინეთ სწრაფი განვითარების კონკრეტული გეგმა, რომელმაც საბოლოო ჯამში, ქვეყანა, ჩვენი მოქალაქეები,

მათი ოჯახები უნდა მიიყვანოს კეთილდღეობამდე. ეს პროცესი 2016 წელს დაიწყო, მაგრამ ჩვენი პროგრამის ძირითადი ნაწილის განხორციელება 2017 წლიდან დაიწყება. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა აირჩიო არა მარტივი, მაგრამ მე ვიტყვოდი – მართლაც და ერთადერთი სწორი გზა სწრაფი განვითარების მისაღწევად“, – განაცხადა კვიციანი. მისივე თქმით, ხელისუფლებამ წარმოადგინა 4-პუნქტიანი გეგმის ყველა მიმართულების კონკრეტული გეგმა.

2016 წელი იყო ასევე გარდამტეხი ზოგადი ტექნოლოგიური განვითარების დაწყების მიმართულებით. ქუთაისის გარდა, დაიწყო ტექნოლოგიური ცენტრის მშენებლობა თბილისში, შეიქმნა ტექნოპარკები თბილისსა და ზუგდიდში, დაფინანსდა ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სტარტაპები. ეს პროექტები მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება...“

მისივე თქმით, ამასთან, დაიწყო საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი, რომელიც ხალხს მთელი საქართველოს მასშტაბით მისცემს შესაძლებლობას, ისარგებლოს მაღალტექნოლოგიური ხელმისაწვდომი ინტერნეტით.

„შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების მართვის ცენტრი, რაც მოგვცემს საშუალებას ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ქვეყანაში უზრუნველყოფით საზოგადოებრივი უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი“, – განმარტა პრემიერ-მინისტრმა.

„2016 იყო ისტორიული წელი UNESCO-ს მიერ ქართული კულტურის მემკვიდრეობის აღიარებისა და დაცვის კუთხით“

„2016 იყო ისტორიული წელი UNESCO-ს მიერ ქართული კულტურული მემკვიდრეობის აღიარებისა და დაცვის კუთხით“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი განაცხადა 2016 წლის შემაჯამებელ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

იმედინი საქველმოქმედო გალაკონსერტი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანმა და საქართველოს პირველი ლედი მკა ჩიჩუა ნინო სურგულაძისა და ფონდის „ნატურის სე“ მიერ ორგანიზებულ სახალხო საქველმოქმედო გალაკონსერტს დაესწრნენ.

ლონისძიებმა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა და მასში მონაწილეობა ცნობილმა ქართველმა და უცხოელმა შემსრულებლებმა მიიღეს. მკა ჩიჩუამ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა: „მეგვალმები ყველას, ვინც ჩვენ თვალს გვადევნებს და ჩვენს გვერდზეა.

როგორც სიუჟეტებიდან ვნახეთ, ამ დღეს ძალიან ბევრი პატარა და ახალგაზრდა ადამიანი ელოდა ყველა ელოდებოდა იმ ბედნიერ მომენტს, როდის ეტყვიან, რომ მათ შეიძლება ოპერაცია ჩაუტარდეთ. მათ გარდა კიდევ ძალიან ბევრია ასეთი მომლოდინე ადამიანი და ჩვენი დიდი აქტივობით და დახმარებით, ვისაც როგორ

„ივლისში მცხეთის ისტორიული ძეგლები მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა UNESCO-ს საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხიდან ამოიღო და ძირითად ნუსხაში დააბრუნა.“

30 ნოემბერს, UNESCO-მ ქართულ ანბანს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა.

დეკემბერში – UNESCO-მ მცხეთის ისტორიულ ძეგლებს ჰააგის კონვენციის თანახმად, გაძლიერებული დაცვის სტატუსი მიანიჭა“, – განაცხადა გიორგი კვიციანი.

აქვე პრემიერმა პროექტ „Check in Georgia“-ზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველო მოინიშნა მსოფლიო კულტურულ ღონისძიებათა რუკაზე.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავი და ილია შაოშის იუბილე განსაკუთრებულად აღინიშნება

2017 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრეობიდან 40 წლის იუბილე და უწმინდესის დაბადებიდან 85 წლის იუბილე განსაკუთრებულად აღინიშნება. ამ მიზნით, სპეციალური კომისია შეიქმნება, რომლის შემადგენლობაში საქართველოს მთავრობის, საპატრიარქოსა და საზოგადოების წარმომადგენლები შევლენ.

დამატებითი დეტალები, დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით საგანგებო კომისიის შეკრების შემდეგ გახდება ცნობილი.

„ბიზნესსახლის“ მხარეობა 2017 წლიდან დაიწყება

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი განაცხადა 2016 წლის შეჯამებისას ხაზი გაუსვა „ბიზნესსახლის“ პროექტის მნიშვნელობას, რომელიც მმართველობითი რეფორმის ფარგლებში, საერთაშორისო სპეციალისტების ჩართულობით შეიქმნა და რომლის მშენებლობაც 2017 წლიდან დაიწყება.

„ბიზნესსახლში ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება. ამასთან ერთად, დაიხვეწება და გაუმჯობესდება ონლაინმომსახურება, დაინერგება ახალი დისტანციური სერვისები და მოხდება სახელმწიფო სერვისების საფასურის ოპტიმიზაცია.“

ეს რეფორმა, სხვა ანალოგიურ პლატფორმასთან ერთად, ხელს შეუწყობს საზოგადოების მონაწილეობას მმართველობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და, შესაბამისად, ხალხს ექნება უფრო მეტი შესაძლებლობა აკონტროლოს ხელისუფლება და ის გადაწყვეტილებები, რომლებიც იქნება მიღებული მმართველობის პროცესში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი.

ბიზნესსაქმორში ღირსება 600 მილიონამდე ლარი

ეკონომიკური რეფორმის მიმართულებით, რომელიც ორიენტირებულია კერძო სექტორის მაქსიმალურ წახალისებასა და მის გაძლიერებაზე შეიქმნა მნიშვნელოვანი საგადასახადო სტიმულები – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი.

მისი თქმით, რეინვესტირების შემთხვევაში, ბიზნესის აღარ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ამით ბიზნესსექტორში დარჩება 600 მილიონამდე ლარი, რაც საშუალებას მოგვცემს, ეს თანხები მოხმარდეს გაფართოებას და შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. ჩვენ უპევი განვხორციელებთ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში. საგადასახადო გარემო ბიზნესის მიმართ გახდება კიდევ უფრო მეგობრული და მაქსიმალურად ნაახალისებს ინვესტიციებს...“



შეგვიძლია, თუნდაც ერთი ლარით. ყოველი გამოცხადებისას მქონდა განცდა, თუ რა კარგია, როდესაც ჩვენ ყველა ასე ვერთიანდებით ამ კეთილ საქმეში. მაგლობა ნინოს ამ არაჩვეულებრივი კონცერტისთვის, მაგლობა ყველა შემსრულებელს, განსაკუთრებით მათ, ვინც შორიდან ჩამოვიდა იმისთვის, რომ მხარდაჭერა გამოეხატა.

რაც უფრო გავერთიანდებით და გავმრავლდებით, უფრო მეტად შევძლებთ, დავამარცხოთ მძიმე ავადმყოფობები და გავაკეთოთ ისე, რომ მათ თვალზე ცრემლი აღარ იყოს.

რამდენიმე წელია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ჩემთვის, ვიყო აქტიური ამ საქმეში. ვაპირებ ფონდის გაკეთებას, რომელიც დაეხმარება იმ ადამიანებს, რომლებსაც განსაკუთრებით ვჭირდებით“, – განაცხადა მკა ჩიჩუამ. დასასრულს პირველმა ლედიმ კონცერტის მონაწილეებთან ერთად რევაზ ლალიძის ცნობილი სიმღერა „თბილისი“ შეასრულა.

ორი რამ მოცუბს ამჟამად: — ოთო კახიძის დატყევილი თვალე-ბი და ალექსანდრე ჯეჯელავას გამონათქვამები.

როდესაც 2016 წლის ყველა-ზე საინტერესო მოვლენებს გა-დავხედვით, ემანუელ კანტის საფ-ლავის ქვაზე გაკეთებული წარ-წერა მომაგონდა.

ერთი შეხედვით, არც ოთო კახიძე და არც ალექსანდრე ჯე-ჯელავა გასული წლის „გმი-რებს“ არ წარმოადგენენ, მაგ-რამ მათზე დაკვირვებით, თავი-სუფლად შეგვიძლია შევაფა-სოთ 2016 და მომავალი 2017 წლისთვის რაღაც დასკვნები გავაკეთოთ.

დავინყებ განათლების მი-ნისტრით, რომელიც მართლაც ზოგიერთი საჭირო და აუცი-ლებელი საკითხების რეფორმი-რებას აპირებს, მაგრამ ამ ყვე-ლაფერს ისე „ფუთავს“, რომ მთელ ჩანაფიქრს წყალში ყრის და იმის ნაცვლად, რომ საზო-გადოების მხარდაჭერა მოიპო-ვოს, გაღიზიანებს და, სამწუხ-აროდ, დაცინვასაც კი იწვევს.

კომპლეს და ბოროტ დედი-ნაცვალს რომ თავი დავანებოთ, ორიოდ დღის წინათ საერთოდ „მამისმკვლელი“ განცხადება გააკეთა: „გულწრფელად ვამ-ბობ, ყოველთვის, როცა ვკითხუ-ლობდი — ჭირი იქა, ლხინი აქა, მიკვირდა, რატომ არ შეიძლება, იქაც ლხინი იყოს და აქაც-რატო-ქი? მეზობელთან ცუდი მატომ უნდა ხდებოდეს, მას ქატიო რა-ტომ უნდა ჰქონდეს და მე — ფევი-ლი? უნდა მომწონდეს, თუ სხვას შუქი არ აქვს და მე სახლში ან-თებულნი ნათურები მაქვს? ეს უმ-სგავსობაა. თუ გარეთ უჭირთ და ჩვენ კარგად ვართ, მერწმუნეთ, ეს ზღაპრები ვერასოდეს მოგ-ვიტანს“.

საოცარია, არა? ბატონო მინისტრო, იმ პერი-ოდში, როცა ქართული ზღაპ-რები იქმნებოდა, საქართველო მთლიანად მტრების გარემოც-ვაში იყო ჩაფლული. ეს დღეს არიან თურქეთი და ირანი ჩვენი „მეგობრები“, თორემ მაშინ... მტრისას. სწორედ ამ რეალობი-დან გამომდინარე, მაშინდელი მეზობლები თავიანთ ნაწარ-მოებებს ამთავრებდნენ ნატუ-რით — ჭირი იქა, ლხინი აქა! ისე, თქვენი აზროვნების ხაზს თუ გავყვებით, არც ზღაპ-რების დასაწყისი „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქ-ნებოდაც“ ვარგა. რა ქნას ათე-ისტმა ბავშვმა? ან რა პასუხი გავცეთ მათ, ვინც ერთდროულ-ღად მრავალ ღმერთს ან ტო-ტემს ეთაყვანება? როგორ შევ-ხედოთ თვალეებში?

გთხოვთ სასწრაფოდ შექმ-ნათ კომისია, რომელიც სასწრა-ფოდ გამოასწორებს ბნელი წარსულიდან გამოსულ და თანამედროვე გამოწვევების-თვის ყოველად მიუღებელ ლაფ-სუსებს!

რაც შეეხება ოთო კახიძის დატყევილი თვალეებს, თუ ნაცე-ბში მიმდინარე მოვლენებს გა-დავხედავთ, მაინცადაამინც გა-საოცარი არ უნდა იყოს.

როცა ამ ე.წ. პარტიაში მიმ-დინარე რყევებს ვაკვირდები, ვიბნევი. აღარ ვიცი ვის ვაგინო. მიშას გაუფიქრებლად „მოკითხვა“ — ბოკერისა ნისქვილზე დავას-ხამ წყალს, ბოკერისა შევუკურ-თხო, მიშას გაეხარებდა. მოკ-ლედ რომ ვთქვა, ნაცებმა ამ წი-ნასაბალნოდ ძალიან მაგრად დაგვაბნინეს. ეტყობა, ოთო კა-ხიძისავე ამიტომ აქვს თვალეები დატყევილი.

ვერაფრის დიდებით ვერ ავუვლი გვერდს იმ „ილეთს“, რომელიც ნაცების ფსიქოლო-გებმა მოიფიქრეს და როგორ-

საც ყველა დებატების დროს იყენებენ. ეს არის ყველაფრის ბიძინა ივანიშვილზე გადაბრა-ლება.

მე რომ კუკარაჩა ვიყო, ნა-ცებს ვეტყვოდი: მეთოდები და-გიძველდათ, მურტალოებო! (დამერწმუნეთ, რომ ისინი იმ ნამდვილ მურტალოზე ბევრად უფრო მურტალი მურტალოები არიან), მაგას ახლა აღარავინ ჭამს! ბიძინა ივანიშვილზე ყვე-ლაფრის გადაბრალება, დება-ტებიდან არგუმენტების არქო-ნის გამო გაქცევა, თემის შეც-ვლა და ოპონენტისთვის პასუ-ხის გაცემის საშუალების წარ-თმევაა. ეს კი თქვენს სისუსტეზე უფრო მეტყველებს და თუ ვინ-მემ გითხრან, აუ რა მაგარი იყავი დებატებშიო, არ დაუჯე-როთ. ის ან ჩერჩეტი და ვერა-ფერს ვერ ხედავს, ან გატყუებთ. კუკარაჩა რომ ვიყო, ვეტყო-

ნაპიდა, მოპიდა, მოპა!

დი, მაგრამ არ ვარ და ამიტომ უბრა-ლოდ „გაცხარდები“: — კისერიც უტეხიათ და კინჩხიც ზედ მიუ-ყოლებიათ.

მოდით, ახლა იმ მარ-თლაც სენსიტიურ საკითხებს შევეხოთ, რომლებმაც არჩევენ-ბის, ანუ საქართველოს განვი-თარებაში დამდგარი ახალი წლის შემდეგ განსაკუთრებით იჩინა თავი.

მთავრობის ზოგიერთი წარ-მომადგენელი მართლაც საჭი-რობოტო საკითხებს, რბილად რომ ვთქვა, ძალიან უცნაურად განმარტავს და მერე საზოგა-დოების ჯანსაღი რეაქცია სწყინთ.

ტელეშოუები გადატენილია თითქმის გამონოკლი სკანდა-ლებით.

ამ დროს რეალურ პრობლე-მებზე არავინ არ საუბრობს.

დავინყებ ტელევიზიებით: ქართულ ტელევიზიებში გა-დაცემების საკმაოდ საინტერე-სო ფორმა ჩამოყალიბდა.

სხვადასხვა ე.წ. შოუს წამყვანები, იმის ნაცვლად რომ მაყურებელზე იმუშა-ონ, გააცნონ თემის შესა-ხებ სპეციალისტების კომპეტენტური აზრი, იმსჯელონ, დასვან სა-ჭირო და დროული შეკითხვები, აბსო-ლუტურ იგნორირე-ბას უკეთებენ მაყუ-რებელს, არ შლიან თემს და თუ სტუ-მარმა მოახერხა საინტერესო აზ-რის „ჩაკვება“, სასწრაფოდ აწყვეტინებენ, რათა არ გა-მოჩნდეს მათი სრული მოუ-მზა-დელობა. ანგრევენ შოუს მთა-ვარ არსს და მხოლოდ სა-კუთარ თავზე

მუშაობენ. მათ საერთოდ არ აინტერესებთ, გაიგო თუ არა მაყურებელმა პრობლემის რე-ალური არსი, მისი გადაჭრის გზები, გაუჩნდა თუ არა შე-კითხვა და შეძლო თუ არა დას-კვნის გამოტანა. მათთვის მთა-ვარია, ილაპარაკებენ თუ არა მის შოუზე მეორე დღეს, გავრ-ცელდება თუ არა ამონარიდე-ბი შოუს მიმდინარეობიდან, ხოლო ის, თუ როგორ შეაფასე-ბენ გადაცემას, ანუ დადებენ თუ არა რეალურ რეიტინგს, აბსო-ლუტურად არ აინტერესებთ.

მათ შეცვალეს სიტყვა „რე-იტინგის“ ნამდვილი არსი და ის „ნახვადობად“ აქციეს.

ნახვადობისთვის კი აუცი-ლებელია იყოს სკანდალი და რა გამოიწვევს ამ სკანდალს, ჩხუბი სტუდიაში (რაც ყველაზე მარ-ტივია), წამყვანის „ორიგინა-ლური იმიჯი“, უინტერესო თე-მის გასკანდალურება თუ სხვა, მხოლოდ ტექნიკის საქმეა.

რაც შეეხებათ სტუმრებს: იმის ნაცვლად, რომ სტუმარი იყოს გადაცე-მის მთავარი მოქ-

მედი პერსონა, პასუხობდეს შე-კითხვებს და კვალიფიციურად განმარტავდეს ამა თუ იმ სა-კითხს, იგი გადატყუებულია წამ-ყვანის მაკიაჟად ან რეკვიზი-ტად.

ამ თემის დასკვნა ერთ-ერთი ფეისბუქსტატუსით გავაკეთებ: ძვირფასო ტელეწამყვანებო და პროდიუსერებო, ძალიან მაინტე-რესებს დამწყები პოეტი გოგო-ნა, თუთა მათუთელის შეფასე-ბა ღარის კურსის და ეკონომი-კის პერსპექტივების შესახებ, ასე-ვე მინდა მოვისმინო ქართველი მეტალისტის მოსაზრება ზოგი-ერთი მართლმადიდებლური დოგმის რეფორმირების აუცი-ლებლობაზე და ძალიან საინტე-რესო იქნება მოდელ ნაწიკას მი-ერ ალექსის ტრაგედიისა და ნა-ტო-რუსეთის ურთიერთობის თემის საფუძვლიანი განხილ-ვა.

ახლა კი მინდა, შევეხო ჩინოვნიკების მიერ დაშ-ვებულ იმ შეცდომებსა თუ სისულელებს, რომ-ლებსაც მმართველი ძალის წარმომადგენ-ლები ხელს აფარებენ და, განსაკუთრებით, შინაგან საქმეთა სამი-ნისტროში გაბატო-ნებულ დაუსჯე-ლობის სინდრომს.

შეიძლება, მი-იჩქმალოს ჩი-ნოსნის ფინან-სური დანაშა-ული, კო-რ უ ფ ი ა , მაგრამ ჩი-ნოვნიკების მიერ ჩადე-ნილი სისუ-ლ ე ლ ე (უხადგილო ა დ გ ი ლ ა ს მ შენებლო-



ბის ნებართვის გაცემა, ქალაქის დამახინჯება, სულელურ კანო-ნებზე დაყრდნობით სოციალუ-რი დახმარების მოხსნა და აუცილებლად გასაკეთებელი საქმის განელვა და.შ.) და პო-ლიციელების მიერ ჩადენილი ძალადობა, საზოგადოებისთ-ვის ყოველთვის უფრო სენსი-ტიურია, რადგანაც აქ გარკვე-ული ფსიქოლოგიური ფაქტო-რი მოქმედებს და ეს ფაქტორი სულელი ჩინოვნიკებისა და „გაბლატავებელი“ პოლიციე-ლების მიმართ, მოქალაქეების აშკარად უარყოფითი და ხშირ შემთხვევაში აგრესიული დამო-კიდებულებაა.

როდესაც სააკაშვილი გადა-ეფარა გირგვლიანის მკვლე-ლებს და მათ წინააღმდეგ მხო-ლოდ ფსადური ღონისძიებე-ბი განახორციელა, იმ დღეს და-ინყო მისი რეჟიმის დემონტაჟი. იმ დღეს დაინყო, რადგანაც მან რამდენიმე პოლიციელის „დათ-რევა“ ამჯობინა თავისი ძალა-უფლების კიდევ უფრო განმტ-კიცების შანსს.

შგავსი მაგალითები ძალიან ბევრია, როდესაც პაიკების შე-ნარჩუნების გამო, პარტიაც წა-გებულა (აქ არ არის საუბარი მაშინდელი მინისტრის ცოლზე. მისი „მოტყევა“ თავისუფლად შეუძლო თუნდაც იმ ჩუმი ზუ-ზუნის ფონზე, რომელიც ამ ნა-ბიჯის გადადგმის შემდეგ იქ-ნებოდა).

არა მგონია, რომ დამნაშავე ჩინოვნიკებზე ხელის დაფარე-ბა იყოს მმართველი ძალის ღონისძიების დაცვის საუკეთესო საშუალება. მგონია, რომ პირი-ქითაა. სამწუხაროდ, თავს უფ-ლებას ვაძლევ, ვიფიქრო, რომ არსებულ ურთიერთკავშირის რაღაც უხილავი ჯაჭვი, რომე-ლიც უფრო ძლიერია, ვიდრე კანონი და ხალხის ნება.

პირველი და უმთავრესი არის ის, რომ საკონსტიტუციო კომისიამ პირველ რიგში დეპუ-ტატის და ყველა არჩევითი თა-ნამდებობის პირის განცვეის წე-სი უნდა შეიიმუშაოს!

აუცილებლად უნდა მიეხე-დოს სახალხო დამცველს, რად-განაც მისი აშკარად არაადეკ-ვატური რეაქციები გვაფიქრე-ბენებს, რომ მან ვინ უნდა და-იცვას, როცა თვითონ დასაცა-ვია იმ ჯოჯოებისგან და ავი სუ-ლებისგან, რომლებიც პატივცე-მულს დაპატრონებიან.

როგორც ვხედავთ, ხუთკუნჭუ-ლას მეთოდს პოლიტიკოსებისთ-ვის და მათი საქმიანობის გამშუ-ქებელთათვის ძალიან კარგი ილე-თი აღმოჩნდა და წერლის ბო-ლოს იმედს გამოვთქვამ, რომ პრე-მიერ-მინისტრი და მმართველი გუნდის საკმაოდ კარგი და ადეკ-ვატურად მოაზროვნე წარმომად-გენლები ყველაფერს გააკეთებენ, რომ 2017 წელი აღმშენებლობის და მოქალაქეთა შევების დასაწყისი გახდეს.

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და, თუ მშვიდობა იძნა, განისად აუცილებლად შვიშვ-დეათი.

ბია ბაბრიძე

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სე-მეკ) დღევანდელ საჯარო სხდომა-ზე მიღებული გადაწყვეტილებით, შპს „ქართლის ქარის ელექტრო-სადგურის“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია ამოქმედდა.

„ქართლის ქარის ელექტრო-სადგური“ გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების ტერიტორი-აზეა განთავსებული, რომლის დადგმული სიმძლავრე 20,7 მგვტ-ია და ექვსი აგრეგატისგან შედგე-



ბა. თითოეულის სიმძლავრე 3,45 მგვტ-ია, ხოლო წლიური საპროგ-ნოზო გამოიმუშავება 88 მლნ კვტ საათს შეადგენს.

ამავე სხდომაზე, ელექტრო-ენერჯის წარმოების ლიცენზია სს „დარიალ ენერჯის“ საკუთრებაში არსებულ ჰიდროელექტროსად-გურ „დარიალ ჰესზე“ გაიცა. „დარ-იალ ჰესის“ საპროექტო სიმძლავრეა 108 მგვტ და სამი აგ-რეგატისგან შედგება. საპროექტო წლიური გამოიმუშავება 510 მლნ კვტ საათს შეადგენს.

ტყვიაში გაღაუღე-ბული საპედიციონო დასმარკების სენტრი შენდება



სოფელ ტყვიაში გადაუდე-ბელი სამედიცინო დასმარკების ცენტრის მშენებლობა მიმდინარე-ობს. დასკვნითი სამუშაოების და-სათვალისწინებლად, გამყოფი ხა-ზის სოფელში იმყოფებოდნენ სა-ქართველოს რეგიონული განვი-თარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალაფიძე, შიდა ქართლის რწმუნებულ-გუბერნა-ტორის მოვალეობის შემსრულე-ბელი იოსებ ოქრომელიძე და მუ-ნიციპალური განვითარების ფონ-დის აღმასრულებელი დირექტო-რი გალაქტიონ ბუაძე.

გამყოფი ხაზის სოფელ ტყვი-აში აშენებული გადაუდებელი სამედიცინო დასმარკების ცენტრი, ერთდროულად, თოთხმეტი პაცი-ენტის მიღებას შეძლებს.

ამ ეტაპზე უკვე დასრულებუ-ლია ძირითადი სამშენებლო სამუ-შაოები და მიმდინარეობს ეზოს შემოღობვა და კეთილმოწყობა. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტი-დან 1 600 000 ლარით დაფინანსდა და მისი დასრულება 2017 წლის დასაწყისში იგეგმება. ობიექტზე მუშაობის პერიოდში სულ დასაქ-მდა 40-მდე ადამიანი.

„იმალი“ რეგიონალურ ტელევიზიას უიღულოს?



ტელეკომპანია „იმალი“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის, ირაკლი რუხაძის განცხადებით, „მაესტრო“ წამგებიანი ტელევიზიაა და ასევე მისი თქმით, საქართველოში არსებობს კიდევ სხვა ბევრი წამგებიანი ტელევიზია, რომელთა შესყიდვაც მიმდინარეობს მოლაპარაკებებით.

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, საუბარია „იმალი“ მიერ რეგიონულ ტელევიზიების შესყიდვას და ერთ ჰოლდინგში გაერთიანებაზე, როგორც ეს „მაესტროსა“ და „GDS“-ის შემთხვევაში მოხდა. რეგიონული ტელევიზიების ასოციაციის პრეზიდენტის ნათია კუპრეიშვილის თქმით, მსგავსი მოლაპარაკებები შეესაბამება მას ამ დრომდე არ სმენია, თუმცა „პირველ რადიოსთან“ საუბრისას აღნიშნა, ვერ გამოირიცხავს, რომ მსგავსი მოლაპარაკებები შეიძლება შედგეს.

„მე ამ დრომდე არაფერი მსმენია, თუმცა რეგიონული ტელევიზიების ნაწილს წინასწარჩევნოდ თავად გასცხადებული ჰქონდა გაყიდვის სურვილი. ერთადერთი ეს მახსენდება. ისინი თავად საუბრობდნენ, სამწუხაროდ, ღიადაც საუბრობდნენ, ვერ დავადასტურებ, რომ რუხაძის ეს განცხადება შესაძლოა, რეგიონულ ტელევიზიებს უკავშირდებოდეს, დღეს ვხვდები მე რეგიონულ მედიას და აქამდე მეცოდინებოდა მსგავსი მოლაპარაკება რომ იყოს, თუმცა შესაძლებელია და ვერ გამოვიცხადებ.“ — განუცხადა კუპრეიშვილმა „პირველ რადიოს“.

„რუსთავი-2“-მა შესაძლოა, საგადასახადო ვალდებულება ვერ შეასრულოს!



სამაშხვამლო კომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი იმ ფინანსურ პრობლემებზე საუბრობს, რომელიც ტელევიზიას უკვე წელიწად-ნახევარია აქვს. გვარამიას განცხადებით, სასამართლო დავისა და ყადაღის პირობებში, ტელევიზია ვერ ახორციელებს საბანკო ოპერაციებს, ვერ იღებს სესხს და უკვე დადგა იმ პრობლემის წინაშე, რომ ვერ ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს. გვარამია ხელისუფლებას და სასამართლო ხელისუფლებას მიმართავს, დროულად დაასრულოს საქმის განხილვა, გამოიტანოს ობიექტური გადაწყვეტილება და არსს მისცეს საშუალება, სრულფასოვნად განაგრძოს მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გვარამია ამბობს, რომ „რუსთავი-2“ მაუწყებლობის გაგრძელებას ვერ შეძლებს.

თუ „რუსთავი-2“ საგადასახადო ვალდებულებას ვერ შეასრულებს, კანონის ფარგლებში იმოქმედებთ

იმ შემთხვევაში თუ „რუსთავი-2“ საგადასახადო ვალდებულებებს თუ ვერ ასრულებს, შემოსავლების სამსახური კანონის ფარგლებში იმოქმედებს. შემოსავლების სამსახურის აპარატის უფროსი, ხატია მოისწრაფიშვილი გადავადებებზე საუბრისგან თავს იკავებს და აცხადებს, რომ სამსახური მოიქცევა კანონის შესაბამისად. შემოსავლების სამსახური გახლავთ კანონდამსრულებელი სტრუქტურა. შესაბამისად, ჩვენ ვმოქმედებთ კანონის ფარგლებში. კანონი განმარტავს მთელ რიგ ღონისძიებებს და ამ შემთხვევებში შესაძლებელია სხვადასხვა მიმართულებით საკითხების განხილვა. თუმცა ეს უნდა მოხდეს გადახედვას და საგადასახადო ორგანოს შორის. შესაბამისად ეს ის დეტალებია, რომლებზეც ჯერ ვერ ვისაუბრებთ, ჩვენ ვმოქმედებთ კანონის შესაბამისად.

ჯანმრთელობის მოდარაჯე ქართულ-ევროპული „პატრული“



ცნობილი უროლოგიურ სწეულებათა შესახებ, რომლებიც, ზოგადად, ადამიანის შარდის გამოყოფის სისტემისა და თირკმელთა ქირურგიულ დაავადებებს ეხება, ჯერ კიდევ ძველი სამყაროს ხალხებისთვის იყო ცნობილი, რომლებიც მათ სამკურნალოდ სხვადასხვა მეთოდებს იყენებდნენ. ამის მიუხედავად, მისი, როგორც მედიცინის განსაკუთრებული სამეცნიერო დარგის ჩამოყალიბება მე-19 საუკუნეში დაიწყო და სადღესოდ მეტად შთაბეჭედა შედეგებს მიაღწია, თანაც მასთან ერთად ასევე წარმატებით ვითარდება მედიცინის მომიჯნავე დისციპლინებიც.

მსოფლიო უროლოგიის საერთო წარმატებების ფონზე დიდად სასიხარულოა ქართული უროლოგიური სკოლის, მის სახელოვან წარმომადგენელთა ავტორიტეტი და მიღწევათა აღიარება საერთაშორისო ასპარეზზე, რის უტყუარი დასტურია ცოტა ხნის წინათ ჩვენში ჩატარებული საქართველოს უროლოგთა ასოციაციის ყოველწლიური კონგრესი, რომლის თაობაზე სასაუბროდ ასოციაციის გენერალურ მდივანს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ არჩილ ჩხომტაძეს შევხვდით.

— საქართველოს უროლოგთა ასოციაციისა და ევროპული უროლოგიის სკოლის ერთობლივი ყოველწლიური კონგრესი თბილისში 16-17 დეკემბერს იმავდ ფორმატით გაიმართა, როგორც წინა წლებში. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის მასშტაბით მონაწილე საუნივერსიტეტო და სპეციალიზებული უროლოგიური კლინიკების წამყვანი სპეციალისტებმა, ასევე საშხარეო კლინიკებისა და ამბულატორიების მედიკოსებმა. კონგრესის მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ასევე უროლოგიის მომიჯნავე სამედიცინო სპეციალობების წარმომადგენლები, მათ შორის, ნეფროლოგები, ტრანსპლანტოლოგები, ანესთეზიოლოგები, რომლებიც უროლოგიურ ოპერაციებში მონაწილეობდნენ.

აღსანიშნავია, რომ უროლოგთა ასოციაციის კონგრესი — ესაა დარგის სპეციალისტთა ყველაზე დიდი ფორმატის სამეცნიერო თავყრილობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ტარდება და რომელზეც, ფაქტობრივად, ჩვენში მოღვაწე ყველა პრაქტიკოსი მედიკოსი ვიკრიბებით და ერთმანეთს წლის მანძილზე სამეცნიერო კვლევებში მიღწეულ შედეგებსა და პრაქტიკულ ანუ ოპერაციულ მოღვაწეობაში დაგროვილ გამოცდილებას ვუზიარებთ ყველაზე აქტიურად და პრობლემურ უროლოგიურ დაავადებათა მკურნალობის თაობაზე.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს უროლოგთა ასოციაციის წლებმდე კონგრესის ფარგლებში ასევე გაიმართა ევროპის უროლოგიის სკოლის გასვლითი სესია. ევროპულ უროლოგთა ასოციაციიდან მოწვეული გვყავდა დარგის ორი ექსპერტი ალბერტო ბრედა ესპანეთიდან და ვენანგელოს ლიატისკოსი საბერძნეთიდან. პროფესორმა ლიატისკოსმა თავისი მოხსენება „განათლების მიღების უნიკალური საშუალება უროლოგიისთვის“ წაიკითხა, პროფესორმა ბრედამ კი ჩინებული გამოსვლა „პარციალური ნეფრექტომის დროს ევროპის უროლოგთა ასოციაციის რეკომენდაციებს“ მიუძღვნა. ორივე სწავლული დიდი ავტორიტეტის მქონე ექსპერტისათვის უაღრესად მნიშვნელოვან და რთულ განხრავში, როგორცაცაა ენდოსკოპიური, ლაპარასკოპიური, რობოტული და რეკონსტრუქციული უროლოგია.

მათ გარდა ჩვენ ასევე გვყავდა მონაწილე სხვა სტუმრები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოყოფილი რობოტული ქირურგიის თვალსაჩინო გერმანელ სპეციალისტს ვ. ესერ-ბარტელს,

რომელიც ერთ-ერთი უდიდესი ცენტრის დირექტორი გახლავთ და რომელმაც კონგრესის მონაწილეებს ამ სფეროში მიღწეული შედეგები გააცნო. სტუმრის სტატუსით გვყავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიჩიგანში მოღვაწე ჩვენი დიდად წარმატებული თანამემამულე, ანესთეზიოლოგიის დეპარტამენტის სამედიცინო დირექტორი, პროფესორი ვასილ მამალაძე, რომელმაც წაიკითხა მოხსენება თემაზე „ანესთეზიის ძირითადი პრინციპების მიმოხილვა უროლოგიური ოპერაციების დროს“. აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სათანადო ლიცენზიის მიღებამდე, პროფესორი ვ. მამალაძე წლების მანძილზე საქართველოში წარმატებით მოღვაწეობდა.

კონგრესის, ასე ვთქვათ, თემატურ პა-

— ბატონო არჩილ, თქვენ აღწერეთ უროლოგიის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის წამყვანი სპეციალისტი ბრძანდებით. რას იტყვით თავად კლინიკის, სხვა მონაწილე ცენტრების მუშაობის თაობაზე?

— წელან აკი გითხარით, რომ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს წამყვანი უროლოგიური კლინიკების სპეციალისტები, რომლებმაც უაღრესად საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს. მათ შორის მინდა აღვნიშნო ალ. წულუკიძის სახ. უროლოგიის ეროვნული ცენტრის, სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკის, თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის, კლინიკა „მედიკლაბ ჯორჯიას“, ასევე რეგიონული, მათ შორის ქუთაისის რეგიონული ჰოსპიტალისა და ბათუმის უროლოგიური ცენტრის მედიკოსები, რომლებმაც კოლეგებს უროლოგიურ დაავადებათა მკურნალობის თემაზე გამოცდილება გაუზიარეს. მინდა სწორედ ამ ცენტრებიდან წარმოდგენილი ყველაზე ახალი, თანამედროვე, პროგრესული მიდგომები გამოვყო, რომლებიც ქვეყანაში უროლოგიის იქაური სპეციალისტები კლინიკურ პრაქტიკაში წერტილად გაიშალა, უროლოგიის ეროვნული ცენტრიდან წარმოდგენილი იყო ძალიან საინტერესო მოხსენება პროსტატისა და შარდის ბუშტის დაავადებათა მკურნალობასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოში უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ ის ეხება ევროპის ნორდული ტულიუმის ლაზერით მკურნალობის პირველ შედეგებს. ეს ტექნოლოგია ცენტრში 2016 წლის სექტემბერში დაინერგა და მას შემდეგ პროსტატის ადენომა მკურნალობაში მეტად შთაბეჭედავი შედეგები მიღწეული. ასევე უროლოგიის ეროვნულმა ცენტრმა, „ემ-ემ-ტი ჰოსპიტალმა“ და „მედიკლაბ ჯორჯიამ“ წარმოადგინეს ლაპარასკოპიური უროლოგიური ოპერაციების შედეგები, რომლებიც ისეთი მეტად რთული უროლოგიური დაავადებებისას გამოიყენება, როგორცაცაა ონკოლოგიური სწეულებები, მაგალითად, პროსტატის კიბო. გარდა ამისა, ასევე უნდა აღვნიშნო შარდ-კენჭოვან დაავადებათა მკურნალობის თანამედროვე მეთოდები, რაც დღესდღეობით საქართველოში ძალზე აქტიურად დააგვრცელებული. მათი მკურნალობა წარმოებს თანამედროვე ენდოსკოპიური, ნაკლებად ინვაზიური უსისხლო მეთოდებით. ამ მხრივ დიდად მეტად პოზიტიური მასალაა დაგროვილი, რომელიც მედიკოსებმა სიმპოზიუმზე წარადგინეს. საინტერესო იყო აგრეთვე უროლოგიის ეროვნული ცენტრიდან წარმოდგენილი მოხსენება თირკმლის ტრანსპლანტაციის, ჰემოდიალიზის საკითხებზე, რაც ასევე მეტად პრობლემურია ჩვენს მოსახლეობაში ამ დაავადების სიმძიმისა და სირთულის გამო. სიმპოზიუმზე ათასამდე პაციენტის მკურნალების შედეგები იყო მოხსენებული, რომელიც უროლოგიის ეროვნულ ცენტრში ჩატარდა.



ლიტრას თუ გადავხედავთ, მასზე თანამედროვე უროლოგიის პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი, აქტიურად და პრობლემური საკითხი იქნა განხილული, მათ შორის, კერძოდ, თირკმლის ტრანსპლანტაცია, პროსტატის კიბოს პრომონოთერაპია, რეკონსტრუქციული უროლოგია, დიაგნოსტიკა, ჰკვ-ის მკურნალობის თანამედროვე პრინციპები, ლაპარასკოპიური და ღია ქირურგიის უპირატესობები, ონკოლოგია, ქალთა უროლოგია და ანდროლოგია, უროლოთიაზი.

როგორც აღვნიშნე, კონგრესზე ასევე განხილულ იქნა თანამედროვე ნეფროლოგიისა და ტრანსპლანტოლოგიის აქტიურად განვითარებული, რაშიც თირკმლის ტრანსპლანტაციის სფეროში წამყვანი სპეციალისტები იღებდნენ მონაწილეობას. ფორუმის ფარგლებში მოეწყო ენდოსკოპიური, ლაპარასკოპიური, რობოტული, ასევე პროსტატისა და ქვედა საშარდე გზების დაავადებათა უროლოგიური ოპერაციების ვიდეოპრეზენტაციები, რომელთა დროს გამოყენებული იყო ყველაზე თანამედროვე ლაზერული ქირურგიული მეთოდები.

ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს უროლოგთა ასოციაციისა და ევროპის უროლოგთა სკოლის ერთობლივი კონგრესზე გაიმართა ალექსანდრე წულუკიძის სახელობის მედიკოსების პირველი ლაურეატის, პროფესორ რუდოლფ შიპენფელნერის დაჯილდოება.

მოკლედ, როგორც ვხედავთ, უროლოგიის სამაშულო სპეციალისტებმა დიდი მუშაობა ჩატარეს და, ეჭვი არ არის, რომ მომავალში მათი კვლევები და პრაქტიკული მოღვაწეობა კიდევ უფრო მეტ სარგებელს მოუტანს როგორც ზოგადად მედიცინის ამ დარგს, ისე ყველა იმ პაციენტს, რომელიც მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა დახმარებას საჭიროებს და წარმატება გვინდა ვუსურვოთ თავიანთ საქმიანობაში.

ოთარ ტურაბაიძე

პორტრეტი აუცილებელი სათქმელით



თამარ ჩიტაშვილი: – ეს სახელი და გვარი ბევრისთვის არაფრისმთქმელია, ბევრისთვის – მრავლისა. წელიწად-ნახევარიც არ არის გასული რაც იგი საქართველოში დაბრუნდა და სიცოცხლეზე ხელჩაქნულ რამდენ პაციენტს დაუბრუნა ცხოვრების ხალისი, რამდენი დაარწმუნა, რომ ღირს სიცოცხლისთვის ბრძოლა, რომ პროფესიონალთა გარჯა ყოველთვის შედეგია!

ვიდრე მას ინტერვიუსთვის ავირჩევდი, მანამ მე აღმოვჩინე მისი პაციენტი. ამიტომაც შტრიხებს თამარ ჩიტაშვილს პორტრეტისთვის ახლა ვწერ, ანუ რამდენიმე თვის წინათ ცხოვრებაზე ხელჩაქნული და სასწრაფო კეთილი, ამჟამად კი სრულიად გამოჯანმრთელებული. სიტყვაძუნნი, მაგრამ უხვლიმილია-

„შეხვედნა, სიკვდილის უიუი ბარათი დატოვით!“

ნი, პირდაპირი დიაგნოზის დასამაში, მაგრამ იმედისმომცემი... შენისთანაც ბევრი უნახავს და შენზე უმძიმესიც, დრო ეძვირფასება, ამიტომაც უსაგნო ლაპარაკში არ ფლანგავს. რწმუნდები, რომ უნდა ენდო კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გინეკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის დოქტორს, მეან-გინეკოლოგსა და ონკო-გინეკოლოგს, ახალგაზრდა ქირურგს თამარ ჩიტაშვილს.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ორდინატურა გაიარა უკრაინაში, სწავლობდა ოდესის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, წარჩინებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი. როგორც სტაჟიორმა, სამ-სამი თვე იმუშავა საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, ხოლო 2005 წლიდან, როგორც ონკო-გინეკოლოგი, მუშაობდა საფრანგეთის, გერმანიის, ნიუ-იორკის, რუსეთის ცნობილ ონკოცენტრებში. პირველი ოპერაცია დაამოუკიდებლად ოცდაშვიდი წლისამ გააკეთა. მას შემდეგ არც ისე დიდი დრო გავიდა და თამარ ჩიტაშვილს ქართველი თუ საზღვარგარეთელი კოლეგები უკვე იცნობენ როგორც უმაღლეს

სი კატეგორიის მეან და ონკო-გინეკოლოგს. მაღლიანი ხელის მქონე ქირურგს, რომელსაც სიტყვები: „ყველაფერი კარგად იქნება“ რწმუნის თილისმად გადაუტყვევია და უმისოდ ერთი დღეც არ უცხოვრია. რა თქმა უნდა, რწმენა დიდი ძალაა, მაგრამ ნებისმიერი საქმის წარმატებასა და ხარისხს მაინც პროფესიონალიზმი განაპირობებს.

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტს, რომელსაც აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა ხელმძღვანელობს, შეიძლება, ერთიანად, „პროფესიონალი“ უწოდო. აქ მედიცინის ნებისმიერი მიმართულება უმაღლეს დონეზეა, ჩემი ნება რომ იყოს, შესასვლელში დაეკიდები დიდ აბრას წარწერით: „შემსვლელბო, სიკვდილის შიში გარეთ დატოვეთ!“ აქ ყველაფერი სიცოცხლის წყურვილს გიღვიძებს: ფოიეში მდგარი კლასიკური მუსიკით აჟღერებული რომელი თუ ქართველ მხატვართა ნახატებით დამშვენებული კედლები, გულისყურიანი მედპერსონალი და, რაც მთავარია, აქ ნახავთ იმას, რაც არსად იყიდება და რაც ყველაფერზე მეტად ესალბუნება ლამის სიკვდილთან წილნაყარ სულს. ეს ღიმილია, რომელსაც არაფერ გამაძლის აქ. შენ ამ კლინიკაში ის ადამიანი ხარ,

რომელსაც გაიძულებენ... იცოცხლო! ვერ დავივინყებ ქალბატონი თამარის ასისტენტს, მეან-გინეკოლოგ ნატო გოქსაძეს, ანესთეზიოლოგ ეკა გურგენიძეს, ალერგოლოგს ვერა გოგობიასა და ზოგად ქირურგს თენგიზ გუგუშვილს. კიდევ ბევრს, ვისთანაც ურთიერთობა მომიწია ავადმყოფობისას.

მაღლობა მათ არა პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის (ამისთვის მაღლობა, ვფიქრობ, უხერხული იქნება, ეს ხომ ისედაც ყველა შემთხვევაში ასე უნდა იყოს!), მაღლობა მათ იმისთვის, რაც ასე გაიშვიათდა ჩვენში: პროფესიონალიზმისთვის, ადამიანთა უანგარო სიყვარულისთვის, უღალატობისთვის, ღიმილისთვის, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებისთვის!

დაბოლოს: აუცილებლად სათქმელი:
 ბატონი ფრიდონის კაბინეტის მარჯვნივ, კედელზე, უზარმაზარ ჩარჩოში ჩასმული აფხაზეთის (საქართველო!) ერთ-ერთი უღალატესი კუთხის, ბიჭვინთის ზღვის სანაპიროს ფოტო კიდაია, რომელსაც ერთგვარ დისონანსს შეაქვს დანარჩენ კედლებზე ქართველ მხატვართა შემოქმედებით აფერადებულ ჰარმონიაში. ეს „მინის ყივილია“ დიაგნოსტიკური ცენტრის თავკაცისთვის, მას სტკივა აფხაზეთი!

მეც ბიჭვინთელი ვარ და კლინიკიდან გამოსულს, სრულიად სალსა და ჯანმრთელს, იქ, სანაპიროზე დარჩენილი ჩემი ბავშვობის ნაფეხურები მტკივა...
რუსუდან ლორთქიფანიძე



გვარის ტრადიცია

1932 წლის პირველ იანვარს კოლხეთის დაბლობზე სენაკში, თამარ და ვალიკო როგავეს ვაჟიშვილი შეეძინათ, რომელიც დამერლანად მონათლეს, შემდეგ კი დავითის სახელით გახდა ცნობილი. ჩვენი იუბილარი, ოჯახის უფროსი შვილი და უფროსი ძმა, უკვე 85 წელია, ჩვენთვის და მეგობრებისათვის – დამერლანია.

მან იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ პირველად ჩვენი დედის, ძველი სენაკის სკოლაში გადაშალა. იმ სასწავლებელში, რომელმაც... (მოვიშველიებთ კუპეტს დამერლანის ლექსიდან – „ჩემი ძველი სენაკი“)

ქართულ მიწას, ქართულ ენას, მან აუნთო სანთელი; ამ პატარა სოფლის სკოლამ, ერს მოჰფინა ნათელი.

და, განათლების ოლიმპზე აიყვანა მამულის საამაყო შვილები, აკადემიკოსები: კონსტანტინე გამსახურდია, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, ვარლამ თოფურია, პეტრე ქავთარაძე.

ჩვენს ოჯახში, დამერლანის გარდა, კიდევ სამნი გავიზარდენით. დღეს ყოველგვარი გადამეტების გარეშე და გულწრფელად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს მრავალშვილიან ოჯახში, ბავშვების აღზრდაში უფროსი შვილის დამერლანის როლი გზის მაჩვენებელი შუქურას მსგავსად უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. იმ პერიოდის პატარები, მათ შორის ჩვენც – ხომ „ომის ბავშვებად“ ვართ „მონათლული“. მაშინ, დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, ჩვენი ოჯახი თბილისის გოგოლის ქუჩის ერთ-ერთ დიდ, მრავალბინიან ეზოში ცხოვრობდა. დამერლანის, სკოლაში წარჩინებული მოსწავლის, ორგანიზატორული ნიჭი და ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისებები სწორედ მაშინ გამოჰქაფდა.

იმ წლებში, როდესაც ჩვენი მამა, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ოფიცერი, კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილის მიდამოებში ფაშისტური გერმანიის დაზვერვის – „აბვერის“ რაზმელების განადგურებაში მონაწილეობდა, დამერლანის თაოსნობით ეზოში ჩამოყალიბდა ბავშვთა „სამხედრო შტაბი“. მიუხედავად ჩვენი მცირეწლოვანებისა, მაშინ ჩვენ სიამაყის გრძნობით ვიმეორებდით პოეტის მგზობარე სიტყვებს: „ჩვენ ოთხნი ვართ, დიდო სტალინი, მიითვალე ანგარიშში“. ფაქტობრივად, ამ პერიოდიდან დაიწყო დამერლანის

უფროსი ძმა!

დავით (დამერლან) როგავე საუკუნეს ღუნავს



ჯივალთუი (ძმები) – დამერლანი, სულიკო, ამირანი (ძველი სენაკის 800 წლის ბოლიატი ნიფლის ხანთან)

აქტიური მოღვაწეობა, ჯერ სკოლის და შემდეგ ინსტიტუტის ბავშვთა და ახალგაზრდალ კავშირებში, შემდეგ კი სახელმწიფო ორგანოებში.

ომის შემდგომ პერიოდში, დამერლანი აქტიურად მართავდა ჩვენი სწავლისა და მოსწავლეთა ორგანიზაციებში მუშაობის პროცესს, ჩვენც ვცდილობდით, არ ჩამოვრჩენოდით უფროს ძმას, მიგვებაძა მისთვის და არ შეგველახა მისი ავტორიტეტი. ამაში იყო ძმობის სიძლიერე და მან თავისი შედეგიც გამოიღო: – მაშინ, ოთხივემ წარჩინებული სწავლისა და ყოფაცქვევისათვის სასკოლო მედლები დავიმსახურეთ. ჩვენც გვეამაყება, რომ უფროს ძმას ყოველთვის მხარში ვედექით.

თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მასწავლებლები ოქროს მედალოსან დამერ-

ლანს ურჩევდნენ თავისი ნიჭისა და ტალანტის რეალიზაციისთვის ფილოლოგიურ ან ისტორიულ ფაკულტეტზე, მათემატიკის სფეროში ან სამხატვრო აკადემიაში გაეგრძელებინა სწავლა. დამერლანმა გეოლოგობა ირჩია და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, როგორც მედალოსანი, კონკურს გარეშე ჩაირიცხა. ისევე, როგორც სკოლაში, ინსტიტუტშიც მას ახალგაზრდების, კომკავშირული ორგანიზაციის თავკაცად ირჩევნ. შემდეგ კი, მრავალი წლის განმავლობაში, რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფო და პარტიულ ორგანოებში პირნათლად ხელმძღვანელობდა მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლების, საშუალო და პროფესიული განათლების დარგების შემდგომი განვითარებისა და ალმაველობის საკითხებს. მას არც პირადად შეუწყვეტია კავშირი მეცნიერებასთან.



ამჟამად გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დავით როგავა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია და კითხულობს ლექციებს, სტუდენტებს ჩვეული ენერგიით უნერგავს სიყვარულს პროფესიისადმი.

იუბილარის შვილები ბრწყინვალედ აგრძელებენ ოჯახის ტრადიციას. ორივე პროფესორია. ქალიშვილი მათა – უცხო ენების დარგში, ანდრო კი – ასტროფიზიკაში და ლექციებს კითხულობს თბილისისა და ბრიუსელის უნივერსიტეტებში. მისი შვილებიც ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან. მათს ვაჟი პროფესორია დახვეწას იტალიაში აგრძელებს, სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ქალიშვილი კი დღეს პატარა ვაჟიშვილს – თომას ბაბუშს შვილთაშვილიშვილს ზრდის.

ჩვენი დამერლანი, სამწუხაროდ, დამეხებიდან სამნი დავრჩით. მიუხედავად ამისა, და ჩვენი ხნოვანებისა, ვისურვოთ წმინდად მივყვეთ გვარის ტრადიციას და შევიწარმოოთ ძმობის ძლიერება!

დღეს ყველას სახელით, ჩვენი დის და ჩვენი ოჯახებით გილოცავთ შესანიშნავ იუბილეს! გისურვებთ მრავალ ბედნიერ დღეს მეუღლე ნაზიმესთან, შვილებთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად! მრავალჟამიერ, ჩვენი უფროსი ძმაო! მრავალჟამიერ, დამერლანი!

სულიკო, ამირანი როგავენი
 მოსკოვი-თბილისი



ყოველკვირეული ლიტურგიკულ-ეკლესიისტური ჩანაწერი №261

22 დეკემბერს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის კრებაზე კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) კანონიზაცია მოხდა. აქ უკვე წმინდა კალიტრატესთან დაკავშირებული ყველა საგანი უდიდესი რელიგიური მნიშვნელობის იქნა.

სამოგადოებისთვის ცნობილი, ღვაწლმოსილი ქალბატონის ბაბო დიანის არქივში, იკონოგრაფიულ და მემორიალურ მასალასთან ერთად, დაცულია ეპოქის რეალიების განმარტებისთვის უაღრესად საეკლესიო ხელნაწერებიც. მათი დამუშავებისას უნიკალურ ექსპონატს წავაწყდით. ეს გახლავთ წლებისგან გაყვითლებული და გაცურეცილი ისტორიული ავტოგრაფი – სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის კალისტრატე ცინცაძის წერილი გამოჩენილი ისტორიკოსის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასადმი.

ხელნაწერი, რომელიც ოთხ ფურცელზეა განლაგებული, წარმოადგენს უწმინდესის შენიშვნებს მაშინ ახლადგამოცემული სახელმძღვანელო კრედიტისთვის „საქართველოს ისტორია“.

1943 წელს სიმონ ჯანაშიას, ნიკო მერქენიშვილის და ივანე ჯავახიშვილის ავტორობით (რედაქტორი სიმონ ჯანაშია) დაისტამბა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავდა პერიოდს უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე.

სანამ კათოლიკოს კალისტრატე ცინცაძის შენიშვნებს გაეცნობდეთ, რაც ძირითადად ტერმინოლოგიის დაზუსტებას და მართლწერას ეხება, სიმონ ჯანაშიას მეცნიერულ რეკომენდაციებს შეგახსენებთ: 1935 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეა; 1936-41 წლებში ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს; 1941 აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად; 1943 წელს კი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად; 1943 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს. 1946 წელს მიანიჭეს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. არის 100 სამეცნიერო შრომის და 10 მონოგრაფიის ავტორი.

ზოგი რამ თავად უწმინდესის ბიოგრაფიიდან: პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მამა მიხეილ ცინცაძე მღვდელი გახლდათ. წერა-კითხვა ოჯახში შესწავლა. „ვეფხისტყაოსნისა“ ოჯახში უკითხავდნენ. „ჟამის“ შესწავლაში მამის შევირდები ეხმარებოდნენ. განათლება ჯრუჭის მონასტერში, მიტროპოლიტ დავით წერეთლის კარზე მიუღია. ქუთაისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც ცნობილი გახლდათ პოლიციური რეჟიმით, ანტიქართული გარემოთი და ძალიან გახმაურებული კონფლიქტის პერსონაჟით – სემინარისტ იოსებ ლალიაშვილით, რომელმაც სიცოცხლის გამოასალმა სემინარიის რექტორი პავლე ჩუღუცი. საქართველოს ექვსიხოსმა პავლემ II მოკლული ჩუღუცი სახელმწიფოსთვის და რელიგიისთვის წამებული პერსონად წარმოაჩინა. ჩვენი სამშობლოს ისტორია აღმათვერსადროს დაიფიქრეს რუსი ექვსიხოსის პათოსს და შემადრწინებელი სიტყვებს, წარმოთქმულს თბილისში,

ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში, როცა მან საქართველოს ბავშვებს „ცხოველური მიღწევილებების ამარა“ დარჩენილნი უწოდა. თქვა ისიც, რომ უზნეო ქართველ ადამიანებს შეუძლიათ გახდნენ ეკლესიის მსახურნიც კი... და ბოლოს, უსასტიკესი სიტყვებით დაასრულა: „წყევლიმც იყოს ის ხალხი და ის ქვეყანა, რომლებიც ასეთ ბოროტმოქმედთ შობს!“

„მე ტიქაროსანი ვიყავი და ყოველთვის მანთავისუფლებდნენ სემინარიიდან მღვდელმთავრების წირვის დროს. იმ დღეს კი არ გამანთავისუფლეს, - წერს კალისტრატე ცინცაძე თავის მოგონებათა წიგნში – ამიტომ არ შემოძლია დანამდვილებით ვთქვა: მართლა წარმოთქვა თუ არა ეგზარხოსმა პავლემ ის სიტყვები. დაბეჭდილ სიტყვებში იგი გამოტოვებულია, თუმცა დამსწრეებმა და მლოცველებმა გადმომცეს, რომ განაცხადა...“

ეგზარხოსის სულიერი წონასწორობის დაკარგვას ამჟამად სინოდის ომბრუო-კურორის სახელზე გავგაზიანე წერილიც...

აქ მოყვანილია სრული, ვრცელი ტექსტი. ეგზარხოსი „ამტკიცებს“, რომ ე.წ. ტერორისტული აქტი სხვა პოლიტიკურად მოტივირებული ქართველებმა შეუკვეთეს სემინარულ ლალიაშვილს: „დამნაშავე 19 წლისაა და, როგორც ჩანს, სოციალიზმისა და ქართველოფილიზმის ადგილობრივმა მოთავეებმა მოისყიდეს. ამ მოთავეებს კარგად ესმოდათ, რომ ძალზე ჯვრიანი და ენერგიული რექტორი, რომელმაც სემინარიიდან ბოროტების ძირფესვიანად აღმოფხვრა დაიწყო, მათი საშიში მტერი იყო... რუსი აღმზრდელები დემორალიზებული არიან. ქართველი აღმზრდელნი მხეცებით იყურებიან. მოგვიწევს ყველა ქართველის გაძევება, თუ არ გვინდა სემინარიის სრული დემორალიზაცია.“

საპირისპიროდ, დიდი კათოლიკოსის კირიონის სიტყვებს გთავაზობთ: „ქართველებმა თავიდანვე თავიანთი ცხოვრება ააგეს ქრისტიანულ საწყისებზე და ქრისტიანობას მისცეს თავიანთი ერთგული ხასიათის ნიშნები: ლმობიერება, გულთადაობა, სიბო, უბოროტობა და მღვრადობა, ხოლო რუსებმა დისციპლინა – საეკლესიო განაწესი, გარეგნული კეთილსახოვანება. რუსების უმრავლესობისთვის, – ამბობს მ.მენშიკოვი, – რწმენა არის ჩვეულება და არა მნიშვნელოვანი მრწამსი...“

კალისტრატე ცინცაძე სწავლას კიევის სასულიერო აკადემიაში ავრძელებს. საქართველოში მრუნდება, როგორც ღვთისმეტყველების კანდიდატი. ...1917 წელს, საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენაში მისი დიდი დამსახურებაა.

1923 წელს, სხვა სასულიერო პირებთან ერთად, კალისტრატე ცინცაძე დააპატიმრეს, რასაც წინ უძღვოდა დიდი სასულიერო მოღვაწის ამბროსი ხელაიას ცნობილი წერილი გენუის კონფერენციისადმი.

ზამო დადიანის მოგონებებიდან: „ჩემი მეუღლე ალიომა მასხარაშვილი მოხვდა მეტეხის ციხეში, სა-

დაც ისხდნენ კათოლიკოსი ამბროსი ხელაია და მიტროპოლიტი კალისტრატე ცინცაძე (საეკლესიო პირები დააპატიმრეს მას მერე, რაც გენუის კონფერენციის საპროტესტო წერილი გაუგზავნეს). ოთხშაბათს და პარასკევს მათ სამარხვო სატყველებს მუდამ ვუგზავნიდი, რის გამოც პატრიარქმა ამბროსიმ პატარა მადლოზის წერილიც კი გამომიგზავნა... ერთ-ერთ ასეთ ნახვებზე, ორივემ, კათოლიკოსმა ამბროსიმ და მიტროპოლიტმა კალისტრატემ, დამსვეს თავის სპონთან (ეს იყო ციხეში) და მოხრეს: „შვილო ბაბო, ჩვენ, ორივე მოხუცს, გვაქვს შენთან სათხოვარი. ხომ შეგვისრულდება?“ მე, რა თქმა უნდა, თავდახრით მოვახსენე: „მიზრდანეთ“... და მათ ჩემთვის ძალიან გულსატკეპნი რამ შემომთავაზეს: „შენ შენი პატარა ჩვილი გოგონა დროებით უნდა წაიყვანო სოფელში და ძიძას უნდა გააზრდევიო, ვინაიდან ახლა ძალიან უნდა ადევნო თვალ-

ულ თარიღებს და მოვლენებს ამსუტემდნენ.“

ცნობილია ისტორიკოსის განსაკუთრებული ინტერესი აფხაზეთისადმი მიტროპოლიტად. მისი ახალგაზრდობის წლები აფხაზეთს უკავშირდება. დაასრულა სოხუმის რეალური სასწავლებელი. მამა, პედაგოგი და ეთნოგრაფი ნიკოლოზ ჯანაშია, ჰამუთ ზეგის ფსევდონიმით, აქვეყნებდა წერილებს პერიოდულ პრესაში.

1926 წელს სიმონ ჯანაშია აფხაზური ენის პედაგოგად მიიწვიეს სოხუმის უნივერსიტეტში. ქალბატონ ბაბოს არქივში ს. ჯანაშიას მეცნიერული კვლევები და მონოგრაფიები, სამახსოვრო წარწერებია. მათ შორის გამოკვეთავ: „გიორგი შერვაშიძე“.

დიდი ღვთისმეტყველის კალისტრატე ცინცაძის ღრმა ცოდნა და ისტორიული პროფილის ინტერესებიც მის უკვე მიტროპოლიტ იმეათობად ქცეულ წიგნებშია გადმოცემული: შენიშვნები საქართველოს ეკლესიის

და ე.წ. სტალინური კონსტიტუცია. ალბათ ამავე კონტექსტშია მოსაზრებელი კალისტრატე ცინცაძის მიტროპოლიტის წიგნში მიტროპოლიტის, მეუღლე ანტონის (გიორგაძე) რუსი სამღვდლოების წინაშე წარმოთქმული დიპლომატიური სიტყვების ციტირება: „ივერიის ჯვარმოსილი ეკლესია მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ სარწმუნოებით მონათესავე ორი ეკლესია ამიერიდან შეხმატკობილებულად და ურთიერთსიყვარულით იცხოვრებს, ერთი გულით და არა ერთი ენით...“

მღვდელმთავრის „ჩემი მოგონებების“ წიგნს ამგვარი ეპიგრაფი ახლავს: „მოგონებებს ამას წინათ გადავხედ და დავრწმუნდი, რომ ისინი დაწერილია Sine iratet studio (უგულისწყრომოდ და მიუკერძოებლად, სრულიად პირუთვნელად).“

უწმინდესის და უნეტარესის შენიშვნებს „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოზეც ასეთივე კრიტიკით განვიხილავთ, საქართველოს

ძვირფასი ავტოგრაფი

ქსონის ისტორიის



კალისტრატე ცინცაძე

მოკრძობის კოვილსახეში
მოყვარე ბაბოს
კ.პ.კ.

ისტორიიდან, „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული ღირებულებები, „ქაშუეთის წმ. გიორგის სახ. ეკლესია“, „ივერიის საეკლესიო წიგნი“ და სხვ.

დიდი საეკლესიო მოღვაწის ლიტერატურის თუ ისტორიის საკითხებში კომპეტენცია სახეზეა, თუმცა, უდიდესი მოკრძობებით, თავმოდრევით სთავაზობს თავისი, „ისტორიის მოყვარული მოხუცის“, შენიშვნებს „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელო ავტორს და რედაქტორს.

როგორც კათოლიკოს-პატრიარქის წერილიდან ირკვევა, ხელოვნებათმცოდნეს და მწერალს იროდიონ სინდლუაშვილს – ექვთიმე თაყაიშვილის მოწაფეს და თანამებრძოლს, უცნობებია ბატონი სიმონ ჯანაშიასთვის, რომ მის ნაშრომზე გარკვეული შენიშვნები არსებობდა. იმ პერიოდში იროდიონ სინდლუაშვილი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მცირე ხელოვნების განყოფილების გამგედ მუშაობდა.

ტექსტში ნიშნდობილია ერთი ეპიზოდი, სტალინური ხანასთან დაკავშირებული. უწმინდესის სურს და ცდილობს, რომ ხელისუფლება „მოაქციოს“, რაც, როგორც ნამდვილმა საულიერო პირმა იცის, რომ მხოლოდ უწყობითი პათოსით, ან თუნდაც, განვადგომით ვერ მიიღწევა. მოძღვარი ღვთისმეტყველებასთან კავშირში განიხილავს სახელმწიფო კონსტიტუციის იმ მუხლებს, სადაც კაცთმოყვარეობაზეა საუბარი. ამ გზით თითქოს ის ავტორს აიძულებს საქმედ აქციოს, რაც იქ „წერილ არს“. მოგვხსენებთ, გარეგნულად რა დემოკრატიულად და ჰუმანურად გამოიყურებო-

მწყემსმთავრის საცნობრივად ჩამოყალიბებულ, ძალიან საგულსხმო ტექსტს, დაწერილს „უგულისყრომოდ და მიუკერძოებლად.“

უწმინდესის (რომელიც საკუთარ თავს ოდენ „საქართველოს ისტორიის მოყვარულ მოხუცს უწოდებს) წერილი 1944 წლითაა დათარიღებული....

* * *

დრამა პატივცემულ გ. სიმონ!

ჩვეულებრივ სიტყვათაგან იროდიონ სინდლუაშვილს რატომღაც თქვენთვის მოუხსენებია, რომ მე შენიშვნებს ვაკეთებდი „საქართველოს ისტორიის“ კითხვის დროს. გამოვითქვამთ სურვილი აღნიშნული შენიშვნების გადათავაზებისათვის. ვასრულებ თქვენს სურვილს, მაგრამ გაფრთხილებთ: ეს შენიშვნები შემთხვევითი ხასიათისაა და არავითარი კრიტიკისეზერო პრეტენზიები არ აქვთ. მათ ახარებულ ავტორს სახეში ჰქონდა თავის შესაქცევად „ხოცვა ნადირთა მცირეთა“. თუ შეიწუხებთ თავს და ინებებთ შენიშვნების გადასინჯვას, გულმოდგინედ ვთხოვთ: სულგნძელობის ზეწარი გადააფარეთ საქართველოს წარსულის მოყვარულ მოხუცის კადნიერებას და შეუნდეთ ნებისითი თუ ენბელიე შეცოდებანი.

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ. ამისათვის, ვფიქრობ, ყოველივე საცქვო იქიდან უნდა იქმნეს განდევნილი, ცნებები დასაბუთებული და ენა დახვეწილი; ცოდვა არ იქნება, ენის მხრივ, წიგნის გადათავაზიერება მიენდოს ქართულის კარგ მცოდნეს;

როგორც სახელმძღვანელო, წიგნი დიდი, შიშველია ზოგიერთი პარაგრაფის შემოკლება-შეწორება. მაგალითად... (აქ დასხვავან, ყოველი შენიშვნის მერე, მითითებულია წიგნის პარაგრაფების და გვერდების ნომრები. ნ.ბ.) თუბალ-კანის ხსენება, ვფიქრობ, უნდა ამოიშალოს. თუ ბიბლიას უწევთ ანგარიშს, თუბალ კანის ხანა ეკუთვნის წარწერის წინა დროს. ქართველები კი წარმოშობილი არიან წარწერის შემდეგ. მაშასადამე, თუბალ კანისადმი ვერას ისწავლიდნენ. წიგნში ნახმარია: ძველი წელთაღრიცხვა, ჩვენი წელთაღრიცხვა, ახალი წელთაღრიცხვა... ძველში რომელი იგულისხმება? ებრაული, მერძნული თუ რომაული?

...წიგნში ყველგან ნახმარია „ქრისტიანული“. ვფიქრობ, ეს რუსულის გავლენით არის შემო-



ბაბო დადიანი

კატულოსიდან მარციალისამდე

დიდი პოეტი პოეტის დასასრული

ძარბაზი აკადემიურმა სივრცემ და ფართო მკითხველმა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საჩუქარი მიიღო. ეს გახლავთ რამაშული ლირიკის პატრულსიდან მარციალისამდე, თარგმნილი ლათინური პოემების ცნობილი მკვლევარის მანანა ღარიბაშვილის მიერ. კრებულს თან ახლავს დეტალური შენიშვნები და წინასიტყვაობა. მკითხველს ვთავაზობთ მე-14 საუკუნის რომაელი პოეტის კატულის ქართულ თარგმანს.

რომაული ლირიკა

კატულუსიდან მარციალისამდე

რომაული, ანუ ძველი ლათინურენოვანი ლირიკა ბერძნული გავლენით შეიქმნა, შეიძლება ითქვას, მის თარგმანს მოჭრილი, მაგრამ, სხვა ლიტერატურული უნარებისაგან განსხვავებით, არაფრით ჩამოუყარებდა, რაც შემთხვევაში თითქოს აღემატება კიდევ ბერძნულს. თუმცა, შესაძლებელია, ეს შთაბეჭდილება იმიტომ იყოს გამოწვეული, რომ მან გაიყვანა უფრო სრულად მოაღწია ჩვენამდე, რადგან ლათინური ენის ცოდნა შედგომით დროის ევროპაში არასოდეს დაკარგულა და მათი ლირიკა მნიშვნელოვანწილად რომაულის ფესვზე აღმოცენებულია. ახალი დროის პოეტები ხშირად სიამაყით ასვენებენ ლირას და სიმღერებს, რაც, ცხადია, წმინდად პოეტური პირობითობაა, დიდი-დიდი წამღერებით წარმოიქმნა თავიანთი, ზოგჯერ სრულიად არასასიამაო ლექსები, ანტიკური პოეტიკისთვის კი ეს არავითარი მეთაფორა არ გახლავთ, ლირიკა იყო მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც ლირის თანხლებით სრულდებოდა, მეტი არაფერი. ეპიკური პოეტიკის იმღერებოდა, ოღონდ ლირაზე არა, სხვა საკრავზე.

არსებობდა იმგვარი პოეტიკა, რომელიც არ იმღერებოდა, ვთქვათ, ეპიკურად, მაგრამ რომელიც იმღერებოდა, კატულუსი რომ „ნუგავ“-ს უწოდებს, ისინი ლირიკის უნარს ან გასაწყობებლობას, ანადა, თანამედროვე მკითხველის თვალსაზრისით რა შეიძლება იყოს უფრო ლირიკული, ვიდრე ლექსებისადმი მიძღვნილი ლექსები? გარდა ამისა, არც ვერგილიუსის „ეკლოგებს“ მიაკუთვნებდნენ ლირიკის უნარს, ჩვენთვის კი სხვა რა არის ეს ტექსტები, თუ არა ლირიკული პოემების უმეტესი გამოვლინება.

ასე რომ, წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი ლექსები უფრო ჩვენი თვალსაზრისითაა ლირიკა და არა მისივე და მისივე ძველთა თვალსაზრისით.

რომში აღრეული პერიოდიდან იწერებოდა მცირე ზომის ლექსები, მაგრამ მათი ავტორები (ენიუსი, ლუციუსი, სხვანი და სხვანი) უფრო რიტორები და დიდაქტიკოსები იყვნენ, ვიდრე პოეტები და მათგან შემორჩენილი ტექსტები პოემების წინააღმდეგობა საფუძვლად არის მიჩნეული, ამდენად რომაული ლირიკის სათავეში ეგრეთ წოდებული ნეოტერიკოსები დგანან, რომელთაგან სრულად მხოლოდ კატულუსის ლექსებმა მოაღწია ჩვენამდე. თუმცა, კატულუსი, როგორც ჩანს, მათშია გამოჩენილი იყო – მომდევნო თაობის პოეტები, რომლებსაც ჩვენთვის დაკარგულ პოეტურ კრებულში უფრო ჯერ ისევე ხელი მიუწვდებოდათ, განსაკუთრებული ქებით მხოლოდ კატულუსის სახელი ასხენებენ.

ნეოტერიკოსებმა თავიანთი შემოქმედების ნიმუხად და მაგალითად ელინისტური, სახელდობრ ალექსანდრიული პოეტიკის დასახეს, საკუთრივ ელინურზე ნაკლებ დამოკიდებულნი არიან. უნდა ვიფიქროთ, რომ დიდი ქალაქის, ალექსანდრიის, პოეტთა თემსაკეცი და სტილიტიკაც მათთვის, ასევე დიდი ქალაქის მკვიდრთათვის, უფრო ახლომდებელი და ადვილად მისაღები გამოდგა.

ამ მხრივ შემდგომი თაობის პოეტებიც მათ კვალზე მიდნან, გარდა პორციუსისა, რომელიც მხოლოდ ელინი პოეტების სალექსო საზომებით წერს და ამით ძალიანაც ამაყობს – „პირველმა შეძელი რომაული სიმღერის პანგთა ეოლიური ხმოვანებით ამტკიცებდა“. თუმცა, თემატიკის მიხედვით ისიც უფრო ალექსანდრიული უნდა იხსენიება.

ვერგილიუსი მათ რიგში ცოტა განკერძობებით დგას, არ ცნობს არავითარ სხვა საზომს, გარდა ეპიკური საზომისა, შექსამეტრისა, რომელსაც მხოლოდ კატულუსი იყენებდა თავის ნახევრად ეპიკურ გრძელ ტექსტებში და არა ლირიკაში, სადაც იგი აბსოლუტურად თავისთავადია, არც ელინისტური და არც ელინური გავლენა არ იგრძნობა.

თუ კატულუსის ეს ლექსები გულწრფელობითა და უშუალოებით გამოიჩინებინან, პორციუსისთვის ეს თვისებები მიმზიდველი სრულებითაც არ არის, მისი აზრით, ეს ნაკლებ შეეფერება მაღალ ხელოვნებას. მისი ლირიკა სტატეკურია, ნაჭედი და ნაქნადკარი, აქ მთავარია ენობრივი ძალმოსილება, საუბრილო ოადა ადგილობრივი თუ დამუშავებული რომელიმე პედონისტური მოტივი, ამგვარი ლექსისთვის თითქმის სულერთია, ყველა მათგანი სიტყვისა და პოეტური სინტაქსის ზემოდა. ამის გამოა, რომ მისი პოეტიკა თარგმანებში შედარებით პირთადად გამოიყურება. და დღეს თითქოს ძნელი მისახვედრიც არის, რატომ მიიჩნეოდა იგი პირველ რომაელ ლირიკოსად.

ხოლო პირველი პოეტი ვერგილიუსია, „გეორგიკებისა“ და „ენიდას“ ავტორი, რომელთანაც სათქმელსა და ფორმას შორის იდეალური წონასწორობა სუფევს. პორციუსისაგან განსხვავებით, ფორმა განცდას ვერასოდეს ეწვეა.

პორციუსის შემდგომ ყველა ლირიკოსთან სულ უფრო თვალნათლივია პირობითობის მომენტი. მუშავდება სარ-

ტფილო ლექსების ტრადიციული თემები, ლექსების დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, ერთმანეთის ვარიაციებია. თუ კატულუსის ლექსი უშუალო განცდას ნაყოფი გვეტობს, რომელიც თითქოს თავისთავად იქმნება და არც ერთი თემა საგანგებოდ არც არის შერჩეული, ამ პოეტებთან ლექსები წინასწარ აღებული დასამუშავებელი თემებია, ისინი ზოგჯერ მრწყინვალედ მუშავდება, ზოგჯერაც ნაკლები მრწყინვალეობით. შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს თემები თვითონ ეჭიან რეზიან ერთმანეთს, ვის ლექსში უკეთ გამოანათებენ. ამგვარ საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა ეძლევა ავტორის ფანტაზიას და მახვილვითეობას, ამ მხრივ პირველობა ალბათ მანაც ოვიდიუსს ეკუთვნის. სულ სხვა სურათია ოვიდიუსის იმ ლექსებში, რომლებიც განდევნილობის უამს დაიწერა. პირობითობა და მახვილვითეობა ცოცხალ განცდას უთმობს ადვილს, სიმწარესა და მონატრებას სავესტის ნამდვილია. სამწუხაროდ, ისინი შედარებით დაუდევრად არის დაწერილი, მკითხველის გარეშე დარჩენამ ამ არაორდინარულ პოეტიკას მანაც თავისი დალი დასავა.

ოვიდიუსის ველახლოვებით მთავრდება რომაული პოემების ოქროს ხანა. ვარდიცვალა მეცენატი, ავესტუსის უპირველესი მეგობარი და პოეტების მფარველი. თვითონ ავესტუსმავე, იქნებ იმიტომ, რომ ახალი პოეტები სამსახურში ვეღარ ჩაიყენა, ან იქნებ იმიტომ, რომ ვერგილიუსისა და პორციუსის ქება ესაქმარისა, ან სულაც იმიტომ, რომ დიდი პოეტები უკვე აღარ იყვნენ, პოეტიკა თანდათან გული აიყარა.

შემდეგ, ორი თუ სამი თაობის ჩადებით, ვერცხლის საუკუნე დაიწყო, პოეტიკაში ამ ეპოქის მთავარი ფიგურები ლუკანუსი, ივენალისი და მარციალიუსია. აქედან პირველი ორი არ არის ლირიკოსი. წმინდა ლირიკოსი არც მარციალიუსია, მაგრამ მისი ეპიგრამების თხუთმეტი წიგნი ლექსების ამორჩევა არც ისე ძნელია.

მარციალიუსის ეპიგრამათა წიგნები უკვე მასობრივი ლიტერატურაა, პოეტის მთავარი საზრუნავი ხალხის გაყენებაა. თუ კატულუსის კრებულში ავსტიკებისა და სკამრების, უპირველეს ყოვლისა, პოეტური დანიშნულება აქვს, მარციალიუსისთვის ავსტიკა ვაობაც და სკამრებიც თავისთავადია, თვითკმარია, მისი მიზანია, ხალხი გააცინოს, სხვა არავითარი პოეტური დანიშნულება არა აქვს. ისინი უმეტეს შემთხვევაში თითქმის გამოწვეულია, რაც ყველაზე უკეთ თვითონ ავტორმავე იცის. მაგრამ აქა-იქ მანაც გვხვდება ნაღდად კარგი ოემორის ნიმუშები.

ამაზე იმიტომ ვწერდებით, რომ ნათელი გახდეს მკითხველი საზოგადოების დაღმასვლა. არათუ დაბალ წრეებში, არამედ იმპერატორის კარზეც, დახვეწილ ადამიანთა წრეშიც ამგვარი გემოვნება ჭარბობს. კატულუსსა და, მით უმეტეს, პორციუსს, მომხმარებელი აღარა ჰყავს.

ანადა, მარციალიუსის წიგნებში გაფანტულია ლირიკული შედევრები, რომლებიც, ეტყობა, გულით ეწერებოდა. ისინი სრული უშუალოებით გამოიჩინებინან, არ ცნობენ არავითარ პოეტურ პირობითობას, ლექსები მეგობრებზე, საყვარელ ხალხზე და ადგილებზე, პატარა გოგონაზე დაწერილი ორი ცრემლიანი ეპიტაფია და მისთანანი. მათში ამკარად ჩანს, რომ მარციალიუსი უხამს ხუმრობებსა და სიცილ-სიცილში რამხელა ლირიკურ ნიჭს ფლანგავდა.

მარციალიუსის შერე, უკვე ჩვ. წ. მე-2 საუკუნიდან, რომაულ პოეტიკაში დგება ეპიკურობის ხანა, როცა პოეტიკა ნამდვილი მინარისისაგან იცლება და მეტრული სალექსო საზომების უსაგნო თამაშად იქცევა. ყველაფერი ეს მოასწავებდა არა მხოლოდ რომაული ლირიკის, არამედ მთლიანად ანტიკური ლირიკის კრიზისს.

ამ ეპოქას დიდი პოეტები აღარ უშვია.

მანანა ღარიბაშვილი.

ბაიუს ვალერიუს კატულუსი

ისევ მოვიდა გაზაფხული თბილი ქარებით, ისევ ატობა ზეფირისის საამო ქროლვამ ზამთრის ქარიშხლებს, ისევ დათბა, ისევ განათდა... ეპა, კატულუს, მთავროვოთ ფრიგიის ველნი, ცხელი ნივთის მოფეროვ ვრცელი ყანები, ჭრელი აზის მიგაშურეთ ლამაზ ქალაქებს! ხომ ხედავ, გულიც გაჩქარებით გზისკენ გეწევა, უკვე ფეხებზეც ავაცვეკვდნენ სახეტილოდ... მშვიდობით, ჩემო მეგობარო, კეთილად გველოთ, სახლიდან ერთად გამოსულვებს გზაც ერთი გვექონდა, მინ კი ყველანი საკუთარი გზით დავმარხუდებით!

ღებულო. სკოლა: ქრისტეანული. წიგნში „სიცილსიცილი“ უნდა განმარტება. მიმლის ცხოვრების ხესთან აქვს კავშირი.

ვეფხვი წმინდა ცხოველად არ ითვლებოდა, როგორც თქვენ წერთ. ...„თურმე“-ს ისტორიის სახელმძღვანელოში რა უნდა? ფაქტებია აღსანიშნ.

...სამშენებლო მასალა თუ საშენი?

„სახენელი“ თუ სახნისი?

...ქურდები ტაძრის მსახურებად კი არა, ღვთის მსახურებად ითვლებოდნენ.

„მარცველობასაც ხელს არ აკლებდნენ, როცა საამისო პირობა ჰქონდათ“. ვფიქრობ, ასე სკოლა: მძარცველობასაც ეწოდებოდა, როცა საამისო საშუალება ეძლეოდათ.

„დაეცინკლათ“ – უხერხული თქმაა სახელმძღვანელოში.

„კარგი იარაღის ხმარება“, „კარგ ცხენზე ჯდომა“ კი არა, იარაღის კარგად ხმარება, ცხენზე კარგად ჯდომა. ქრისტეანობა განმარტებული არ არის, არც მისი მნიშვნელობა. საჭირო კი არის სახელმძღვანელოში. ქრისტეანობა ჩამოაყენა სამი დიდი დეპულა, რომელიც სტალინის მიერ შეფასებულია ჯეროვნად.

1. აღმნიანის პიროვნების მაღალი ღირსება (შექმნ. 1,26,-28; 1 კორინთ. 3,16-17; ფსალმ. 8,6-7; 1 პეტრ. 1,18-19), რაც ვარკვეულად არის გამოთქმული ი. შ. სტალინის შემდეგ სიტყვებში; „დროა გავივით, რომ მთელი იმ ძვირფასი კაპიტალიდან, რომელიც მსოფლიოში მოიპოვება, ყველაზე ძვირფასი და ყველაზე გადამწყვეტ კაპიტალს წარმოადგენენ ადამიანები“.

2. ეროვნებათა და პიროვნებათა თანასწორობა (მათ. 28, 19; გალ. 3,28. კოლ.3,11; ფილიპ. 1,15; მარკ. 10, 10;). შეადარე კონსტიტუცია, მუხლ. 122-123 და 3) თავისუფალი შრომის მნიშვნელობა. (შექმნ. 2,15; მარკ. 10,19;2. თეს 3,8-10), შეად. კონსტიტუცია მუხ. 12. ისტორიის სახელმძღვანელოებში ეს უნდა იყოს შეტანილი და არა ის, რომ „მეფეს უნდოდა წაერთმია ტაძრებისა და ქურმებისთვის მამულები“, რომლებიც მერე ქრისტეანულ ტაძრებსა და ეპისკოპოსებზე გადავიდა.

„ცეცხლითა და მახვილით“, – („ფიცხლით არის სიტყვა ესე“ კათან.6.60). ქრისტეანობას ჩვენი ქალი ავრცელებდა, მან ერისთავის წარტანა არ ისურვა. მეფე ვაჭარვეულდა და დამარცხდა. მთიულეში გადიხვეწნენ და ქვეყანა დაუკალიერეს; დამარცხებულ მიზიანს ნინოსთვის აღარ გაუტანებია შეიარაღებული ძალა. წმინდა ასულმა თავისი გაიტანა-გაყოლია ჯვარ-სახარება და სამეფოდლოვებ. ერთეული ფაქტი არ უნდა განგაზოვადოთ. გიწერათ: „ძველი წარმართული ღმერთები ნაწილობრივ ქრისტიანულ ღმერთებად იქცნენ“. ქრისტეანობის ღმერთები არ ჰყავთ „მწარმს ერთი ღმერთი!“ – სწერია სარწმუნოების სიმბოლოში. მიმლიაში ხომ, თქმა აღარ უნდა.

„კეთილიც ეწნათ და ავიც“. სკოლა კეთილიც ეწნათ და მორთობ. „იმ შორეულ ხანაში ქართველ ტომთა საზოგადოებრივ ცხოვრების სათავეში დედაყვი, ქალი იდგა...მისი ქალღმერთი მიჩნეული დიდ დედად, სხვა ღმერთების დედად. ღვთისმშობლად“. ეს ზედმეტად გაზედული პირობებაა და უჭკობესია სახელმძღვანელოში ადგილი არ ჰქონდეს.

„მცხეთაში, სიონის ტაძარში“. უნდა იყოს სვეტიცხოველში. „აღმოსავლეთ რომი“. აქ სკოლა ფრჩხილებში ჩაემატოს – კონსტანტინოპოლი ან მიზანტია. „ეპიტნავებოდათ“, „თავისი გაუდიდათ“, „მუხრუჭი მოუჭირეს“ „გაჩენა“, „ეპირანათ“, „ყველაფე“... კარგი იქნებოდა უფრო დარბაისლური სიტყვებით შეცვლილიყო.

მტერი „გადაგვარეკინეთო“... ვფიქრობ, ატობებს – განგვადევინეთო.

„სპარსელებმა სასტიკი დამარცხება იწვნის როინის პირობებში“. იქნებ სკოლდეს: სპარსელები სასტიკად დამარცხდნენ როინის ნაპირას, თუ მესართავთან.

განა რომაელები აღანებს, ისიც ყოველწლიურად, ხარკს აძლევენ ან შემწეობას, დახმარებას? უბრალოდ რომ ვთქვათ, ქრთამს აძლევენდენ.

„სახარება დაბადების ნაწილია.“ სკოლა სახარება და ძველი აღთქმა ან ძველი და ახალი აღთქმა.

სკოლა იაკობს არ ჩამოვაშორეთ ხუცესი.

განა არგვეთი ყოველთვის ქართლის საზღვრებში შედიოდა თუ იმ დროს შედიოდა?

დოთფიზიტობა, მონოფიზიტობა, ქალკედონიტობა, მანიქელობა საჭიროებენ განმარტებას, თუნდაც შენიშვნებში

...შუნები, ხაზარები, არაბები. კარგი იქნებოდა სახელმძღვანელო წიგნში მათი ვინაობის ოღნავ მაინც განმარტება.

„საარაბო ხარკი“ ყურს ესამუშება. იქნებ გამოდგეს: არაბთაგან დაწესებული დადგეული?

...ამ ადგილას დიდი მეფის ნაცვლად მართებული იქნება „წარმართი“. ეს უფრო გამოხატავს შუშანიკის ფსიქოლოგიურ განწყობილებას.

„ცხენსა და ცხენას აწებდნენ“ უხერხული თქმა! იქნებ გამოდგეს: ამრავლებდნენ.

„ერის მთავრობა“ თუ ერისთაობა?

„ხელ ახალი“ თუ ხელახლად?

...დინარის, დრაჰანის განმარტება სკოლა ვადატანოლ იქნას დასაწყისში, (მთითებულა პარავრაფი. ნ.ს.), რადგან იქ პირველად არის მასზე ლაპარაკი.

...„ურჩ ფეოდალზე მინებათ.“ ვერ გამოვიდა რის თქმა გნებათ.

...„ოსთა თარეშების ალაგვისა“... თუ მოთარეშე ოსების ალაგვისა?

„ოსთა თარეშებუ დადიოდა“ თუ ოსები დათარეშობდნენ?

„მისდა უკითხვად“ თუ მის დაუკითხავად?

„მედროშობა ჩაბარა ეპისკოპოსებს.“ ყველას თუ რამდენიმეს და ისიც რომელს? კარგი იქნებოდა კათედრების დასახელებაც.

... „უცხოეთს“ თუ უცხოეთის? „მაქსიმე ქეთათელი“. უნდა იყოს მაქსიმე კათოლიკოსი.

პარავრაფი 54 – საუცხოვოა.

ერთხელ კიდევ მოდიმი კადნიერებისათვის. თქვენი მარად პატივისმცემელი

კ. კ. ვალისტრატე. 1944.3.25.

დასასრულ ქალბატონ ბაბო დიანის ხელნაწერსაც ვგაცნობოთ, რომელიც პირველად ქვეყნიდან და რომელიც კიდევ ერთხელ შევგახსენებს ამ ღვთისმოსავი, ღირსებით სავსე მანდილოსნის ცხოვრების სტოლს და ინტერესების არეალს:

„ძალიან მძიმე პირობებში მძძანდებოდა კათოლიკოს-პატრიარქი კალიტრატე ცინცაძე. მე გადავწყვიტე, რაღაც მელონა. ვმუშაობდი მეცნიერებათა აკადემიაში. ერთ დღეს შევედი აკადემიის ნიკო ვეცხოველთან და ვთხოვე ყურადღება მიექციათ კათოლიკოს კალიტრატესთვის. მან გამოთქვა სურვილი ენახულივინა პატრიარქი. შევუთანხმე კათოლიკოს კალიტრატეს მოყვანებაზე და აკადემიკოსი ნიკო ვეცხოველი და მე წავიდით. ვეახელით პატრიარქს. სასიამოვნო გაასამი გაიარა დრომ. ნიკო ვეცხოველმა დაურეკა მის ძმას შაქროს, რომელიც მუშაობდა მინისტრთა სამსახურში და გაუკეთეს კათოლიკოს კალიტრატეს მომარაგების წიგნაკი. ამ წიგნაკით ღებულობდა კარგ სურსათს მუდამ თვეს. მენდიერი ვიყავი, რომ ამის გაკეთება შეეძლია და ამით დიდი დახმარება გავუწიე ჩვენს სათაყვანებელ კათოლიკოს კალიტრატეს. ბაბო დიანის-მასხარაშვილისა. ომის წლებში. 1944.

შუბლიკაია მოამზადა ნინო სოფარიანი

საპარტიველო-ამერიკას შორის 2016 წლის განმავლობაში გააძლიერდა ურთიერთობები. ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის ვიზიტი იყო, რომელიც NATO-ს ვარშავის სამიტის წინ გაიმართა. 2016 წლის განმავლობაში თაილანდსა და ვაშინგტონს შორის რამდენიმე მაღალი დონის შეხვედრა შედგა. საპარტიველოს პრაზიდენტი და პრემიერი აშშ-ის დელაქადას ეწვივნენ. მნიშვნელოვანი იყო ამერიკის რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების მიერ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებაზე წარდგენილი სადამკვირვებლო მისიები და მათი შეფასება.

მაიკლ კარაკეჩიანის ვიზიტი

2016 წლის მინურულს, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივნის მეორე მოადგილე რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიის საკითხებში, მაიკლ კარაკეჩიანი თბილისს ეწვია. მისი განცხადებით, აშშ მთავალ წელსაც დაეხმარება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში. კარაკეჩიანი პრემიერსა და პრეზიდენტს შეხვდა. მაიკლ კარაკეჩიანის პრეზიდენტ მარგველაშვილთან შეხვედრის დროს, რომელსაც ასევე უშიშროების საბჭოს მდივანი და პრეზიდენტის მრჩეველები დაესწრნენ, საზიგავსა შავი ზღვის აუზში უსაფრთხოების გაძლიერების მნიშვნელობას და რეგიონში საქართველოს, როგორც განსაკუთრებული პარტნიორის როლს. ვიზიტის ბოლოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტს შორის უსაფრთხოების სფეროში 2016-2019 წლების უსაფრთხოების ხარჯი ხელშეკრულება გაფორმდა.

საპარტიველოს ახალი პლენი ვაშინგტონში

2016 წლის ოქტომბერში, საქართველოს პრეზიდენტმა აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დავით ბაქრაძე დანიშნა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, დავით ბაქრაძეს „გაანჩია ყველა ის თვისება, რაც განაპირობებს მის მომავალ წარმატებას“. დავით ბაქრაძემ არჩილ გეგეშიძე ჩაანაცვლა. დავით ბაქრაძეს, აშშ-ში ელჩად დამტკიცებამდე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტი ეკავა.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, თეთრმა სახლმა საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები შეაფასა, როგორც დასტური იმისა, რომ საქართველო რეგიონში დემოკრატიული რეფორმების კუთხით, ლიდერია. თეთრი სახლის პრეს-სპიკერმა ნედ პრაისმა განაცხადა, რომ „პოლიტიკური სექტორის ლიდერებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, როდესაც საკუთარ მხარდამჭერებს მოუწოდებდნენ თავშეკავებისკენ, რის გამოც ქართველ ამომრჩევლებს ჰქონდა საშუალება, რომ თავისუფლად მიეღო გადაწყვეტილება“.

საპარლამენტო არჩევნებს აკვირდებოდნენ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI). IRI-ის შეფასებით, საქართველოში საპარლამენტო არჩევნებმა, ძირითადად წყნარ და მშვიდ გარემოში ჩაიარა. IRI-ს განცხადებით, ადგილი ჰქონდა დარღვევებს, თუმცა არჩევნებმა ასახა ხალხის ნება. NDI-ის სადამკვირვებლო მისიამ აღნიშნა, რომ საჭიროა ძალადობის ფაქტების გამოძიება, რომ მთავრობის ლეგიტიმაციის საკითხი არ დადგეს ეჭვქვეშ.

ჩაქოლუხია აშშ-ის კონგრესში

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად 2016 წლის 15 ივ-



საპარტიველოს მომავალ მსოფლოდ ქართველი ხალხი სულვრავს!

2016 წელი აშშ-ისა და საქართველოს ურთიერთობაში

ლის აშშ-ის კონგრესში, საგარეო ურთობათა კომიტეტმა საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო. რეზოლუცია გლობს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას და მოუწოდებს მოსკოვს, უარი თქვას ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებაზე და პოლიტიკაზე, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტს აზიანებს. რეზოლუცია ასევე მოუწოდებს მოსკოვს, შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმებით აღებული ვალდებულებები.

რეზოლუციას მოგვიანებით კენჭი უყარა კონგრესმა, სადაც დოკუმენტი ინიცირებულ იქნა საქართველოს მეგობართა ჯგუფის და ჯგუფის თანათამაჯდომარეების, ტედ პოსა და ჯერალდ კონოლის მიერ. რეზოლუციას მხარი დაუჭირა კონგრესის 410 წევრმა.

ნატოს ვარშავის სამიტი

ვარშავის სამიტზე, პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ აშშ გააგრძელებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას. მან ისაუბრა იმაზე, რომ ალიანსი გაზრდის მხარდამჭერას საქართველოს და სხვა სტრატეგიული პარტნიორებისთვის. „ვაპირებთ უფრო მეტს გავუთებას, იმისთვის, რომ დავეხმაროთ ჩვენს პარტნიორებს ჩრდილოეთ აფრიკიდან ახლო აღმოსავლეთამდე და საქართველომდე, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში“, – განაცხადა ბარაკ ობამამ. ვარშავის სამიტზე საქართველომ მიიღო კიდევ ერთი დადასტურება, რომ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საქართველო გახდება NATO-ს წევრი, ძალაშია. NATO სამიტის ფარგლებში, NATO-საქართველოს კომისიის პირველი სხდომა გაიმართა, რის შემდეგაც საქართველოსა და NATO-ს ერთობლივი დეკლარაცია გამოქვეყნდა. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ „როგორც არსებული, ასევე ახალი ინიციატივების მიზანია ალიანსთან საქართველოს თავდაცვის შეძლებლობების და თავსებადობის გაძლიერება. აღნიშნული ინიციატივები ასევე უხმარებდა საქართველოს, როგორც ასპირანტ ქვეყანას, წინ წაინიოს განვრიანების მზადების პროცესში“.

სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის ვიზიტი საქართველოში

2016 წლის ივლისში, ნატოს ვარშავის სამიტამდე ორი დღით ადრე, სახელმწიფო მდივანი თბილისში ჩავიდა, სადაც პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილ-

თან ერთად, ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის სხდომა გამართა. საქართველომ და ამერიკამ თანამშრომლობის გაღრმავების მეორედ უმს მოანერგეს ხელი ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, რომელსაც საფუძველი 2009 წელს დაედო.

„მე ძალიან კარგად მესმის ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც საქართველო დგას და ჩვენ ვამაყობთ, რომ წვლილი შევავაქვს თქვენ მიერ, თქვენი ქვეყნის მომავლის განსაზღვრაში. დღესდღეობით ამერიკის შეერთებული შტატების წვლილი 4,5 მილიარდ დოლარს შეადგენს, აღსანიშნავია ჩვენი დაუღალავი მუშაობა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტზე, როგორცაა თავდაცვა. მოხარული ვარ, რომ საქართველოს ვენწივ ნატოს ვარშავის სამიტის წინ. რადგან, კარგად მესმის, რომ ალიანსში განვწივრიანება თქვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. ჩვენ ვაღიარებთ თქვენ მიერ განხორციელებულ რეფორმებს“, – განაცხადა სახელმწიფო მდივანმა.

აქონომიკური თანაკოპოლია

2016 წლის პირველ სამ კვარტალში, აშშ-დან საქართველოში 16 მილიონი დოლარის ოდენობის პირდაპირი ინვესტიცია შემოვიდა. 2016 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს ექსპორტმა აშშ-ში 64 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტმა 188 მილიონი.

2016 წელს ამერიკამ, დახმარების სახით, საქართველოს 77 მილიონი დოლარი გამოუყო. 2017 წელს ვაშინგტონი საქართველოსთვის 90 მილიონი დოლარის დახმარებას გასცემს. დახმარების 28% დემოკრატიის განმტკიცებას, ადამიანის უფლებების დაცვას და მმართველობის გაუმჯობესებაზე დაიხარჯა, ხოლო 32% – უსაფრთხოების და მშვიდობის საკითხებზე. რაც შეეხება ეკონომიკურ განვითარებას, ამ თვალსაზრისით დახმარების 28% იყო გათვალისწინებული.

ამავე წლის ოქტომბერში, ვაშინგტონში, ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს მიერ ორგანიზებული „აბრეშუმის გზის“ კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე დამსწრეებმა საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალზე ისაუბრეს და საზის გაუსვეს „აბრეშუმის გზის“ პროექტის მნიშვნელობას საქართველოსთვის. კონფერენციას საქართველოს ოფიციალური პირები, ამერიკის ბიზნესწევრების წარმომადგენლები და ეკონომიკის და პოლიტიკის ანალიტიკოსები ესწრებოდნენ.

პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ვაშინგტონში

2016 წლის აპრილში, საქართველოს პრემიერ მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ვაშინგტონში ვიზიტით ჩავიდა, ეს მისი პირველი ვიზიტი იყო პრემიერის რანგში. კვირიკაშვილი ვიდე-პრეზიდენტს ჯო ბაიდენს შეხვდა. როგორც საქართველოს მთავრობის განცხადებაშია ნათქვამი, მხარეებმა „საზიგავსეს შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა თავდაცვისა და უსაფრთხოების, ასევე ეკონომიკურ სფეროში არსებულ თანამშრომლობასა და შემდგომ ნაბიჯებზე“. პრემიერი ასევე შეხვდა სენატორებს, მათ შორის, ჯონ მაკკეინს, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელებს. პრემიერი, ამასთანავე, სხვადასხვა უნივერსიტეტს ესტუმრა, სადაც ის სტუდენტების წინაშე სიტყვით გამოვიდა.

მეორე ვიზიტით ვაშინგტონს პრემიერი სექტემბერში ესტუმრა. ის ბარაკ და მიშელ ობამას მიერ გამართულ მიღებას დაესწრო და შემდგომ ნიუ-იორკში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, საკუთარ გამოსვლაში პრემიერმა ყურადღება გაამახვილა რუსეთის ოკუპაციაზე, ცვლილებებზე საქართველოში და ისაუბრა სამომავლო გეგმებზე. მისი თქმით, საქართველომ განახორციელა სასამართლო სისტემის რეფორმა და აღმოიფხვრა „ხელი-სუფლების წარმომადგენელთა თუ თანამდებობის პირთა დაუსჯელობა“.

ნოემბერში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის ფარგლებში, პრემიერი სახელმწიფო მდივნის მოადგილეს ენტონი ბლინკენს შეხვდა. ბლინკენმა კვირიკაშვილთან შეხვედრაზე საზიგავსა საქართველოში დამოუკიდებელი მართლმსაჯულების და ოპოზიციის მნიშვნელობას.

პრეზიდენტი ვაშინგტონში

2016 წლის აპრილში, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბირთვული უსაფრთხოების სამიტს დაესწრო. ეს ვაშინგტონში პრეზიდენტის რანგში მისი მეორე ვიზიტი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავზე, ვაშინგტონში ვიზიტით მყოფი საქართველოს პრეზიდენტი, პოლიტიკური მეცნიერებების და საერთაშორისო ურთიერთობების რამდენიმე ასეულ სტუდენტს, ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტში შეხვდა. „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ადგილი ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაშია და მივიტყვით ამისკენ. ეს ჩვენი საზოგადოებისთვის და პოლიტიკოსებისთვის რთული გზა იყო... ასლა ჩვენ შედარებით ფუნქციონირებადი დემოკრატია ვართ, ვართ დემოკრატია, სადაც მთავრობა არჩევნებით იცვლება“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი

2016 წლის მარტში მიხეილ ჯანელიძე ვაშინგტონს ეწვია, სადაც ის სახელმწიფო მდივანს ჯონ კერის შეხვდა. ჯონ კერიმ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ვაშინგტონი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ძალისხმევას, რომელიც მიმართულია აშშ-სთან და ევროპასთან კიდევ უფრო მჭიდრო ინტეგრაციისკენ. მიხეილ ჯანელიძემ ამერიკელ კოლეგასთან ერთად, აღნიშნა, რომ მას იმედი აქვს „საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობები კვლავ შეასრულებს რეგიონული ეკონომიკური განვითარების, დემოკრატიული პროგრესისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის საყრდენის როლს როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს მიღმა“.

„ამერიკის წმა“ სპეციალურად „საპარტიველოს რესპუბლიკისთვის“

გეგმარ ევროპაში ჩვენი საგარეო პოლიტიკის წლის მთავარი ნაბიჯებია იყო ვიზალიზერალიზაციის პროცესის დაბრუნება. დარჩა რამდენიმე ტექნიკური საკითხი და 2017 წლის თებერვლიდან ევროპაში უპიროდ ვივლით!



სახადწილი ზღაპარი

ახალი წლის წინა დღეს პატარა ქალაქში მხიარული კაცი მოვიდა.

ის თავის პარია მანქანაში იჯდა, ხოლო მანქანას დიდი, ნაირფერადი ცისტერნა იყო მიბმული.

მანქანა ისეთი პაწაწევრული იყო და ცისტერნა ისეთი ვეგზერთელა, უნებლიეთ იფიქრებდი, ეს კაცი, ალბათ, ჯადოქანია, რომ ამ ერთი ბერო მანქანით ამხელა ცისტერნას დააკრავს.

კაცმა თავის ცისტერნიანად მთელი ქალაქი შემოიარა და მთავარი მოედანი ამოიჩინა: აი, აქ უნდა გავყიდო ტკბილი და გემრიელი წყალო.

ცისტერნას უამრავი სხვადასხვა ფერის ონკანი ჰქონდა და ყოველი ონკანიდან მისივე ფერის წყალი ჩამოიხრიალდებოდა.

კაცი ფერად წყალს ფერად-სავე კობტა ჭიქებში ასხამდა და მომღიმარი სთავაზობდა მსურველებს, ფუსფუსებდა მთელი დღე, ეზაასებოდა მყიდველებს, უამბობდა მათ საინტერესო ამბებსა და მახვილგონივრულ ანეკდოტებს.

ყველას მოსწონდა წყალიცა და ამბებიც.

და ქალაქში აღარავინ დარჩა, ის გემრიელი შუშუნა წყალი რომ არ გაესინჯა.

ერთი სიტყვით, კმაყოფილი იყო ყველა.

მაგრამ მერე გამოჩნდნენ უკმაყოფილონიც. ზოგიერთ მოქალაქეს ლოყასა და შარვალზე, იმ ადგილას, რომლითაც, უკაცნავად და, სკამზე სხდებიან, ლაქები დააჩნდა.

რომ დააკვირდნენ, მიხვდნენ, რომ ეს ლაქები ლოყებზე ალიყურებისაგან ჰქონდათ, საჯლომზე კი – პანდურებისაგან.

ჰოდა, ეს მოქალაქეები საათობით იბანდნენ პირს და შარვლებს მალიმალ იცვლიდნენ, მაგრამ ვერაფერი შეელოდათ. ლოყებზე ველავ აჩნდათ სილაქები, ხოლო პანდურები სულ ახალ შარვლებზეც კი ჩნდებოდა.

მაშინ ლაქებიანმა მოქალაქეებმა მოილაპარაკეს და საღამოს, როცა მთელი ქალაქი ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდა, მოედანზე მივიდნენ და ჩემად მიიპარნენ მხიარული კაცის მანქანასთან.

კაცს ეს არ გაუგია. ისიც ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდა და ასეთი სადღეგრძელოს გამოთქმაში ვარჯიშობდა:

გაუმარჯოს ყველა ჩიტს და ყვავილასაც ყველას... და ყველა ბავშვს, პატარას, კობტას, ცუგრუმელას.

ალიყურებიან-პანდურებიანებმა გამოათრეეს კაცი მისი მანქანიდან და უთხრეს:

– ახლავე დალოე ეგ შენი წყალი ყველა ონკანიდან.

– სიამოვნებით! – უპასუხა მხიარულმა.

– მაგრამ, რაც მერე მოხდება, ვეჭვობ, რომ იმანაც მოგანიჭოს სიამოვნება, – უთხრეს მათ და მოიღუმენ, როგორც შეეძლოთ.

– რას ვიზამ, ალბათ, ასეთია ჩემი ბედიო, – ნალვლიანად გაიღიმა იმან.

მერე დალია წყალი ცისტერნის ყველა ონკანიდან და მორჩილად გაუჩერდა წინ ალიყურებიან-პანდურებიანებს.

იმით კი ერთი საშინლად დაიღრიალეს და ეცნენ მხიარულ კაცს. დააყარეს, ვინ ალიყურები და ვინ – პანდურები.

ურტყეს და ურტყეს. მერე შეიქაჩნეს და შეშხედეს. ნახეს, რომ არავითარი კვალი კაცზე არ დარჩა, არც ალიყურებისა და არც პანდურებისა.

გაჩერდნენ დაბნეულები და ყურებჩამოყრილები.

– ნუ გიკვირთ, – უთხრა მათ მხიარულმა კაცმა, – კვალი რჩება მხოლოდ იმ ალიყურებისა და პანდურებისგან, რომლებსაც იმ სახურვებს ადამიანი.

ამ სიტყვებმა მთლად განარისხეს ისინი.

შზად იყვნენ, დასძვრებოდნენ და გაეგლიჯათ მხიარული კაცი, მაგრამ სწორედ ამ დროს დარეკა ქალაქის მთავარმა საათმა.

დადგა ახალი წელი. მოქალაქეებზე გაქრა ალიყურებისა და პანდურების კვალი, ხოლო მათ გულელები – მოღმა და მრავი.

– ახლა ვინ გაგახსენდათ, ჩემო ძვირფასო? – ჰკითხა მათ მხიარულმა კაცმა.

– დედა! ჩემი დედიკო! დედა გამახსენდა! – წამოიძახა ყველამ ერთად.

...და უცებ მათ გარშემო აფარფატდნენ ნაირფერადი პეპლები, რომლებიც შიგნიდან ანათებდნენ.

ეს პეპლები ის კოცნები იყო, რომლებითაც მათ გავფობაში ეფერებოდნენ დედები.

...და იმ წამს გაიღო ქალაქში ყველა ფანჯარა და იქიდან ათასჯერ ასი ათასი პეპელა გამოფრინდა.

პეპლები უღამაზეს, ნაირფერდურებად შეერთდნენ და მოედანზე დაეშვენენ.

და მოქალაქეებმა დაინახეს, თუ როგორ აიტაცა ღრუბელმა მხიარული კაცი თავის მანქანიანად და ცისტერნიანად და გააქროლა დამის სიბნელებში.

მაშინ კი ყველა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ჯადოქარი იყო ის მხიარული კაცი.

და შვევით ამოისუნთქა ყველამ.

ბურამ აპტრიაშვილი

მსოფლიოს ხალხთა სახალწლო ტრადიციები



უამრავი ეპითეტი აქვს ახალ წელს – ზღაპრული, ჯადოსნური, იდუმალი. დედამიწაზე ესაა ყველაზე პოპულარული დღესასწაული, სურვილთა ჩაფიქრების დრო, რომელთა შესასრულებლად გარკვეული ტრადიციების დაცვაა საჭირო. არადა, რამდენი ერიცაა ჩვენს პლანეტაზე, ახალი წლის აღნიშვნისა და საზეიმო რიტუალის იმდენივე სახეობა არსებობს. კერძოდ:



იტალიაში ძველი წლიდან მოყოლილ პრობლემათა ტვირთის მოსაშორებლად ათასნაირ ძველმანებასა და ძველ ავეჯს... ფანჯრებიდან და აივნებიდან ყრიან. ამდენად, სახალწლოდ იტალიის ქალაქებსა და სოფლებში ქუჩაში სიარული საკმაოდ სახიფათოა, რადგან კაცს შეიძლება თავში, ვთქვათ, არა ძველი ფეხსაცმელი, არამედ სკამი დაეცეს.

იტალიელ ბავშვებთან კი, ვიდრე მათ ახალი წლის პირველი დილა დაუდგებოდეთ, ფერია ბევრად მიდის. თუკი ბავშვი მთელი წლის მანძილზე კარგად იქცეოდა, იგი ბუხართან მის დაკიდებულ წინდას საჩუქრებითა და ტკბილეულით ავსებს. ცუდი ყოფაცქვეის ბავშვებს კი წინდაში მხოლოდ ნაკვერჩხლები ხვდებათ.

საფრანგეთში თოვლის პაპა ბავშვებს მაინცდამაინც არ ენახება და დამჯერებს წინდებს საჩუქრებით შეუმჩნეველად უსესებს. ყველაზე სიმბოლური კერძი ფრანგულ სუფრაზე ნამცხვარია, რომელშიც ლობიოს ერთი მარცვლია ჩატანებული, და ვისაც ის შეხვდება, მთელი წლის მანძილზე ბედნიერი იქნება. ვიდრე პირველ ჭიქა ღვინოს დალევენ, თამადამ აუცილებლად კასრს



უნდა მიუჯახუნოს, მაღლობა უთხრას მას ბარაქიანი მოსავლისთვის და ისურვოს, რომ მომავალი ჭირნახული უფრო უხვი იყოს.

ინგლისში, შუალამის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე, ტაძრების ზარებს საბნებით ფუთავენ, რის გამოც მათი ძლიერი ხმა მოგუდულად ისმის. 12 საათის დადგომისთანავე კი, მას შემდეგ, რაც ზარებს საბურველს აცლიან, მათი მხიარული, მდიდრული გუგუნის ქვეყანას ახალი წლის დადგომას აუწყებს. ამ დროს ყველა შევარებული სულმოუთქმელად ელის – დამდეგი ახალი წლის გატარება ცალ-ცალკე რომ არ მოუხდეთ, მათ ერთმანეთს სასწრაფოდ უნდა აკოცონ, თანაც ეს რიტუალი აუცილებლად ფითრის ტოტის ქვეშ უნდა შესრულდეს.



ვიეტნამში, იმისთვის, რომ წელი იღბლიანად გამოდგეს, ხალხი ოთახებს ატმის აყვავებული რტოებით რთავს.

ჩინეთში ხალხი ქუჩებში გადის პატარ-პატარა ფარების ასანთებად და არემარის ცეცხლოვან ზღვად გადასაქცევად.

პირამში კი სწამთ: საიმისოდ, რომ ახალი წელი წვიმიანი, უხვმოსავლიანი და ბედნიერი იყოს, აუცილებლად საჭიროა ბაგირის გადანევაში შეჯიბრების მოწყობა, რა დროსაც ერთმანეთს მეზობელი ქუჩები და მთელი სოფლებიც კი ეპაექრებიან.




იაპონიაში ახალი წლის დადგომამდე ტანსაცმლის მაღაზიებში აუიოტაჟია, მას აუცილებლად ახალი სამოსელი უნდა შეხვდნენ. შუალამისას საჭიროა ზარის რეკვის მოსმენა, რომე-



ლიც 108-ჯერ ჩამოჰკრავს: სწორედ ამდენი დაკვრია საჭირო, რომ ბოროტებისა და მანკიერების ყველა გამოვლენა განადგურდეს. მას შემდეგ კი, რაც ზარი გაჩუმდება, კაცმა აუცილებლად უნდა გაიციროს, სხვა შემთხვევაში იღბალი მას ზურგს შეაქცევს.

იაპონელთა სახლების შესასვლელი კარის თავზე ბამბუკისა და ფიჭვის ტოტებს ამარგებენ, რომლებიც დღეგრძელობისა და ერთგულების სიმბოლოებია. ისინი ერთმანეთს საჩუქრებს ალიონზე ჩუქნიან, როცა სახლებიდან გამოდინა მზის ამოსვლის შესახვედრად. ყველაზე პოპულარული სახალწლო საჩუქარია ბამბუკის



ფოცხი, რომლის მირთმევისას ხალხი ერთმანეთს რაც შეიძლება მეტი ბედნიერების მოხვეტას უსურვებს.

აანამაში ზარების რეკვას... სირენების, ავტომანქანების კლაქსონების მოსმენას ამჯობიანებენ, თან მთელი ხმით ყვირიან, რითაც ახალ წელს კეთილად განაწყობენ.

კოლუმბიაში ახალი წლის არა მარტო გაცილება და დანახვა, არამედ... ხელის შეხებაც კი შეიძლება, რადგან ადგილობრივ კარნავალებში მის როლს ოჩოფეხებზე შემდგარი მხიარული მსახიობები ასრულებენ.

წლის რჩეულები

ფეხბურთის ფედერაციამ საუკეთესოები დააჯილდოვა

სასტუმრო „რუმს თბილისში“ ფეხბურთის ფედერაციამ ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონია გამართა. წლის რჩეულთა გამოსავლენად გამოკითხვაში მონაწილეობდნენ უმაღლესი და პირველი ლიგების, ფუტსალი-სა და გოგონათა კლუბების, ასევე, კლუბების მთავარი მწვრთნელები და კაპიტნები.

2015-2016 წლებისა და გარდამავალი ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირებს - გიორგი ქვილითაიასა (თბილისის „დინამო“, 24 გოლი) და ბუდუ ზივზივაცეს („სამტრედია“, 13 გოლი), ქალთა ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირ ნინო ქუჭულაშვილს („ივერია“, 16 გოლი), ასევე, ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის ონის სასპორტო სკოლის დირექტორ ვრმელე ჩიტალაძესა და ცაგერში ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „ხვამლის“ წარმომადგენელ პორფილე კოპალიანს, მასობრივი ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის თემურ ცყონიას სპეციალური პრიზები გადასცეს.

წლის რჩეულეზად ცნეს:



დაჯილდოებისას

საუკეთესო ახალგაზრდა - ოთარ კიტეიშვილი (თბილისის „დინამო“). 20 წლის ნახევარმცველმა ეს პრიზი ზედმედ მეორედ ჩაიბარა.

საუკეთესო მწვრთნელი - გია ცეცაძე, რომელმაც 1936 წელს დაარსებული „სამტრედია“ საქართველოს ჩემპიონობამდე ალაზგვა.

საუკეთესო ფეხბურთელი - ბუდუ ზივზივაცე („სამტრედია“). ბომბარდირობასთან ერთად მან საუკეთესო ფეხბურთელის პრიზიც მოიპოვა.

საუკეთესო მსაჯი - ფიფას არბიტრი გიორგი ვადაჭკორია.

უკონკურენტო - ზვიად კუპატაძე („იურგა“), ფუტსალის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული.

ქალთა ჩემპიონატის საუკეთესო - ლანა გორგაძე.

წლის საუკეთესო ფეხბურთელი ქალი - ყაზახეთში მოთამაშე გულნარა გაბელია.

საქართველოს წლის ფეხბურთელი - თორნიკე ოქრიაშვილი („ურასნოდარი“).

ბაბა თეთრაძე

სამთო თხილამურები



საბარტმელოს სათხილამურო ფედერაციამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თანადგომითა და სპონსორთა მხარდაჭერით მესტიის ახლად გახსნილ თეთნულდის ფერდობზე 2016-2017 წლების საქართველოს სამთო-სათხილამურო თასის გათამაშების პირველი ეტაპი გამართა გიგანტურ და სპეციალურ სლალომში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული და ბავშვთა ნაკრები გუნდების, თბილისის წმიდა გიორგის სახელობის სკოლის, ბაკურიანის, მესტიისა და აჭარის სასპორტო სკოლების სპორტსმენები. გიგანტური სლალომის შედეგებზე უკვე ვნერდით, ამჯერად სპეციალურ სლალომში გამარჯვებულებსა და პრიზორებს გააცნობთ:

საეცნიარული სლალომი სტარტის სიმაღლე 3200 მეტრი, ტრა-

40 სპორტსმენის მონაწილეობით

სის სიგრძე 500 მეტრი, კარების რაოდენობა - 40, მონაწილეობდა 40 სპორტსმენი.

გოგონები 2003-2004 წ.წ. 1. მარი ჩოგაძე (აჭარა, 3.08,44); 2001-2002 წ.წ. 1. მაგაბა ჯაფარიძე (სვანეთი, 2.00,60), 2. ნინო კურტიანიძე (ბაკურიანი, 2.12,50), 3. მარიამ პაქსაძე (აჭარა, 2.30,19); 2000 წ. და უფროსები. 1. ნინო ნიკლაური (გუდაური, 1.20,75), 2. ანა ჩართოლანი (სვანეთი, 2.00,21), 3. ქეთი მიქაბერიძე (ბაკურიანი, 2.16,00).

ვაჟები 2003-2004 წ.წ. 1. სანდრო ჩინჩალაძე (ბაკურიანი, 2.05,31), 2. ლუკა ჯაფარიძე (სვანეთი, 2.10,82), 3. ირაკლი არღვლიანი (სვანეთი, 2.15,67); 2001-2002 წ.წ. 1. სანდრო ჟორჯოლიანი (სვანეთი, 1.46,26), 2. ლევან ბოგიშვილი (ბაკურიანი, 1.55,48), 3. გიორგი აბრამაშვილი (ბაკურიანი, 1.58,25); 2000 წ. და უფროსები. 1. გალო ჯაფარიძე (სვანეთი, 1.35,60), 2. ანზორ ჯაფარიძე (სვანეთი, 1.48,72), 3. დათო ნაზლაძე (გუდაური, 1.51,11).

საქართველოს თასის გათამაშების მეორე ეტაპს 28-29 იანვარს ბაკურიანი უმასპინძლებს, 15 იანვარს კი თოვლის დღე აღინიშნება.

გივი ბაგვა

სელზურთი

ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით დათმეს

2017 წლის 4 და 7 იანვარს საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის 2020 წლის შესარჩევი ტურნირის მორიგ მატჩს ლუქსემბურგთან გამართავს შინ და გარეთ. ამ ორთაბრძოლებისთვის უკეთ მომზადების მიზნით, ჩვენმა გუნდმა ახალი მწვრთნელის - ბექა ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით თბილისის ახალ სპორტის სასახლეში ისრაელის ნაკრებთან ორი მატჩი გამართა. ამ ორთაბრძოლებისთვის ეროვნულ ნაკრებს შემოუერთდნენ ლევან გიორგენები, რომლებმაც საკლუბო სეზონის ნახევარი უკვე დაასრულეს. მაკედონიაში პირველადგილზე რევაზ ჭანტურიას „პელისტერი“, მეორეზე თემურაზ ორჯონიკიძის „პრილეპი“, რომელიც მეორე ეტაპზე გამოსვლილი მეოთხე ადგილისთვის იბრძვის. რუმინეთის ჩემპიონატში შოთა თევზაძის „რემიცი“ მე-12 ადგილზე და პირველ რვა გუნდში მოხვედრის ცოტა შანსი დარჩა. პლეიოფში გასასვლელად იბრძვის ირაკლი ჩიქოვანის „კელერაში“, რომელიც მეათე ადგილზე და მერვეზე მყოფ „ტიმიშოვარას“ 6 ქულით ჩამორჩება, ჩიქოვანმა 14 თამაშში 83 გოლი გაიტანა. საბერძნეთში ირაკლი კბილაშვილის „სერიფატო“ მეთერთმეტე, ახალგაზრდა ქართველმა ხელბურთელმა 10 მატჩში 50 გოლი მიითვალა. უჩა მისიურაძე თურქეთის სუპერლიგაში გამოდის. მისმა კლუბმა „ზაგნოსფორმა“ ბოლო ორი მატჩი მოიგო და გათამაშების ცხრილში მე-11 ადგილზე გადაინაცვლა.

ისრაელთან პირველ მატჩში საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრების ლიდერებიდან მხოლოდ თევზაძემ და ჩიქოვანმა ითამაშეს. სტუმრები პირველი ნახევარიდანვე დანაშაურობდნენ. მათი ნაკრების მწვრთნელი შაპარ ჰაბერი მთელი მატჩის განმავლობაში იყენებდა შეტევასში ცარიელი კარის ტაქტიკას - მეკარე გუ-

ტერმანი ადგილს მეშვიდე მოთამაშეს უთმობდა და ისრაელი ორი პიოტით გვეტყვდა, დაცვაში კი მწყობრად ბრუნდებოდა. შედეგად, ანგარიშში სხვაობამ კრიტიკულს პირველი ტაიმის ბოლოს უწია - 11:20. შესვენების წინ დინამიკურად სხვაობა ხუთამდე შეამცირა - 15:20. მეორე ტაიმში მასპინძლები გააქტიურდნენ, საფინანსო სირენამდე ორი წუთით ადრე ქართველებმა ანგარიშში სხვაობა ორ ბურთამდე შეამცირეს - 35:37, თუმცა მატჩის გადარჩენა მაინც ვერ შეძლეს.

საქართველო - ისრაელი 37:38 საქართველო: თევზაძე, კბილაშვილი - 8, დინამიკია - 7, ჩიქოვანი - 6, ორჯონიკიძე - 4, გრიშკაშვილი - 4, ნითელიშვილი - 3, სიმონია - 2, რუსტამიძე - 2, აბრამიშვილი - 1, მიქაძე (ტორონჯაძე, ხანდოლიშვილი, ხარაიშვილი) - ცხოვრებად, გოგაძე, მწვრთნელი ორჯონიკიძე.

ისრაელი: გუტერმანი (ბარ გილი), ჰერშკოვიცი - 10, შკალიმი - 9, ტურკენიცი - 5, კალდერონი - 4, კუშმარო - 4, ზიტლერი - 4, კაცი - 2, კორდოვა, ჰარარი, პერესი, ნავარი, მწვრთნელი ჰაბერი. მსაჯები: ვ. ბაძალუა, ლ. ოსიყმაშვილი.



საქართველოს და ისრაელის გუნდების მხმედრის მომენტი

ტანეს, თუმცა შეტევისას მუდმივი რიცხვობრივი მეტობის გამო ამჯერად ხელ-ფეხი გაეხსნა ისრაელის გუნდის უკანა ხაზს, ხოლო რამ ტურკენიცი შორიდან 18 გოლი გაიტანა და, ფაქტობრივად, თამაშის ბედიც გადაწყვიტა. შესვენების შემდეგ სტუმრები 2-3 ბურთით იყვნენ წინ, მასპინძლებმა მხოლოდ მატჩის მიწურულზე შეძლეს ანგარიშში სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა.

საქართველო - ისრაელი 37:38

საქართველო: თევზაძე, ტორონჯაძე, კბილაშვილი - 7, ჩიქოვანი - 7, რუსტამიძე - 5, ნითელიშვილი - 5, დინამიკია - 4, გრიშკაშვილი - 4, სიმონია - 3, მიქაძე - 1, აბრამიშვილი - 1, მწვრთნელი ორჯონიკიძე.

ისრაელი: გუტერმანი, ბარ გილი, ტურკენიცი - 18, კალდერონი - 5, კაცი - 5, კუშმარო - 3, ჰერშკოვიცი - 3, შკალიმი - 3, კორდოვა - 1, ზიტლერი, ჰარარი, ნავარი, პერესი, მწვრთნელი ჰაბერი.

მსაჯები: ვ. ბაძალუა, გ. ვაზაგა.

4 იანვარს საქართველოს ნაკრები 18 საათზე ახალი სპორტის სასახლის მთავარ არენაზე ლუქსემბურგთან გაარკვევს ურთიერთობას. იტალიასთან ორი ნახევრის (19:26, 25:28) შემდეგ ორჯონიკიძის შეგირდებს ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის მთავარ შესარჩევ რაუნდში მოსახვედრად მხოლოდ ერთადერთი გზა დარჩათ - 2017 წლის ივნისში ჩელენჯტროფი. ლუქსემბურგთან ორივე ოფიციალურ მატჩში რევაზ ჭანტურია დაგვემატება. მესამე ჯგუფში 11 იანვარს ლუქსემბურგი შინ იტალიას შეხვდება, 15 იანვარს კი აპენინელებთან სტუმრად ითამაშებს და ჯგუფის გამარჯვებულს ამ პაექრობებში გამოვლინდება.

ლაზა დიღია

ჭადრაკი

ჭადრაკის დედაქალაქ დოჰაში დამთავრდა მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი), რომელშიც საქართველოს 10 წარმომადგენელიც მონაწილეობდა. ჩვენებურთაგან განსაკუთრებით ნანა ძაბნიძემ იყოჩაღა: შვიდი მოგება, ორი ყაიმი და სამი მარცხი - ასეთი შედეგით დაასრულა ქართველმა დიდოსტატმა მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალებში მედალოსნების გამოსავლენად 12 ტური გათამაშდა. ნანამ



ნანა ძაბნიძე

სწრაფში ძაბნიძე მესამე

განსაკუთრებით ფინიშზე გამოიჩინა თავი - ბოლო ხუთ ტურში 4 ქულა აართვა მეტოქეებს: დამარცხა ინდოელი ჰარიაკა დრონავალი, რუსები - ალინა კაშლინსკაია და ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლაგნო, მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონ ალექსანდრა კოსტინიუკა (რუსეთი) და სარასადათ ხადემალშარიეს (ირანი) დაუზავდა, 12 შესაძლებლობიდან 8 ქულას მოუყარა თავი და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. 9.5 ქულით კვარცხლბევის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ანა მუზიჩუკი (უკრაინა), 8.5 ქულით ვერცხლი ალექსანდრა კოსტინიუკს ხვდა. დანარჩენ ქართველთა შედეგები ასეთია: 18 ნინო ბაცი-აშვილი (6 ქულა), 20. მერი არაბიძე (6), 23. ლელა ჯავახიშვილი (5.5), 26. სოფიო გვეტაძე (5), 27. მაკა ფურცელაძე (5).

ვაჟებში 15 შესაძლებლობიდან 11-11 ქუ-

ლით პირველი-მესამე ადგილები ვასილი ივანჩუკმა (უკრაინა), ალექსანდრ გრიშჩუკმა (რუსეთი) და მსოფლიოს ჩემპიონმა მაგნუს კარლსენმა (ნორვეგია) გაინაწილეს. შეგახსენებთ, რომ ქართველთაგან ასპარეზობის პირველ დღეს გამოიჩინა ლევან ფანცულაია, რომელმაც ხუთი ორთაბრძოლიდან ოთხ ქულას მოუყარა თავი და, რაც მთავარია, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ მაგნუს კარლსენს გააჩერებინა საათი. სამწუხაროდ, ლევანმა ასეთი შემატებით მომდევნო ორ დღეს ვერ ითამაშა და 7 ქულით 61-ე ადგილს დასჯერდა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მიხილ მჭედელიშვილი 65-ე, ბაადურ ჯობავას კი 71-ე ადგილი ერგო. გიგა ყუფარაძემ 8.5 ქულით 35-ე ადგილი დაიკავა.

ლემსო ცინცაძე

ჭილაოვა

ხუთი თოქაული ჯილდო

თურქეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, რუსეთისა და უკრაინის თავისუფალი სტილით მოჭიდავეები მონაწილეობდნენ სახელოვანი თურქი ფალანის - მუსეინ აკბასის სახელობის მე-7 საერთაშორისო ტურნირში, რომელიც თურქეთის პროვინცია ტოკატში გაიმართა. ჩვენმა მოჭიდავეებმა ზაზა ვარდის ხელმძღვანელობით 5 მედალი მოიპოვეს, გუნდურ ჩათვლაში კი პირველი ადგილი დაიკავეს.

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ ლევან ქელესაშვილი (70) და თეოდ ებანოიძე (86), ქელესაშვილმა ფინალში თურქი ფათიჰ ილდირიმს აჯობა, ებანოიძემ კი გადამწყვეტ პაექრობაში აზერბაიჯანელ ალიზადე სარანს სძლია. ვერცხლის მედალი ალექსანდრე გობეჯიშვილს (97) ერგო, მესამე ადგილებზე ირაკლი მწითური (97) და თორნიკე ხიდემული (125) გავიდნენ.

თაბაზ აბატარიძე

სადღესასწაულო გაზრობა

ჩირილაკების, ნაძვის ხის ტოტების...



სახლესთანაა მოწყობილი, რაც ბოლო წლებში ერთგვარ ტრადიციად იქცა. არადა, წლებულს აქაც ერთობ საინტერესოა...

ისევე, როგორც ეს ყველა წინასახალწლო დღეებში ხდება ხოლმე, ახლაც თბილისის უკლებლივ ყველა უბანში, განსაკუთრებულად ხალხმრავალ ადგილებში, ჩვენებური ტრადიციული ჩირილაკები, ზოგან კი, სულაც ცოცხალი ნაძვის ხის ნერგები და სხვადასხვა ზომის მოჭრილი ტოტებიც იყიდება.

ამ „სპეციალიზებული“ სახელდასხელო ბაზრობებიდან ყველაზე დიდი და, როგორც ჩანს, მყიდველთათვის ყველაზე მიმზიდველი სპორტის სა-

დენივე ტოტიდან მშვენიერი, ფაშა ნაძვის ხის ან ყოფილი შეიძლება და, ვთქვათ, სამის შექმნა სულაც 5 ლარი ჯდება, რაც ამხელავე „ერთიან“ ხეზე - ბუნებრივი იქნება ის თუ ხელოვნური - შეუდარებლად იაფია, რადგან რამდენჯერმე უფრო ნაკლები ღირს. თანაც ტოტე-



ბის გამყიდველები ერთიან ნაძვის ხეს მყიდველებს თავადვე უწყობენ.

ეს, უდავოდ, კარგი ნამონწყობაა, თუმცა კი ერთ რამეს მაინც ვიტყვით: ტოტების მოჭრაც არ შეიძლება, ერთგვარად, „თვითდინებაზე“ იყოს მიშვებული და საახალწლოდ ცოტადენი ფულის შოვნის ყველა მსურველმა ისინი თავისი ნება-სურვილით ვერ უნდა სხიპოს. ამაზე აუცილებლად მკაცრი კონტროლი უნდა იყოს დაწესებული როგორც მხარეებში, ასევე გზებსა და, მით უმეტეს, ბაზრობებზე, თორემ ტყეებში პატარა ხეების მოჭრაზე ლაპარაკი საერთოდაც ზედმეტად მიგვაჩნია!

ენო ალექსანდრიძე, ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

სანთელი

შვილები მაია, მზია ბრეგვაძეები, სიძე გიორგი ბოხუა, შვილიშვილები გიორგი, ბექა ბოხუები, დისშვილები ნანა, თემურ ბაბუნაშვილები, ეკა ქუთათელაძე, მისი შვილები თამარ, ვერიკო, ბესიკ ჯავახიშვილები, რძლები ციური ჯავახიშვილი, ევგენია ჩიქოვანი, მარინა პეტრიაშვილი, ლალი ქუთათელაძე, ანა ჯავახიშვილი, სიძეები ვაჟა მარაძე, კობა მელიქიშვილი, ლევან დადიანი, მისახალი ნანი მაჩიტაძე, მახლიშვილი ია ეგნატაშვილი, მულიშვილი ქეთევან არსენიძე, დეიდაშვილები თინა ყანჩაველი, გურამ ჯოჯიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუნყებიან



რუსულან ჯავახიშვილის

გარდაცვალება. პანაშვიდი 30 XII, 16 სთ. დაკრძალვა 31 XII, 14 სთ. მისამართი: ვორონინის 7 (დინამოს სტადიონის მოპირდაპირე მხარეს). გა- მოსვენება დიდუბის ეკლესიიდან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუნყება აჭარაში აკადემიის პრეზიდენტის წარმომადგენლის, აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის შვილის

ზაზა ჯაბნიძის

გარდაცვალებას და თანაგრძობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კრიზისალი

რუს-მ ქურდული სამყაროს ნაპრობისა და გამომკლვის ბრალდებით სამი პირი დააკავეს

შინაზან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-საგამომძიებო ღონისძიებების შედეგად, სამი პირი - 1984 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლელი და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ვასილ ლ., 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლელი ზვიად ს. და 1998 წელს დაბადებული ლაშა შ. ქურდული სამყაროს წევრობისა და გამოძალის ბრალდებით დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, სამივე ბრალდებული ე.წ. ქურდული სამყაროს წევრებია. დაკავებულებმა, ე.წ. ქურდული სამყაროს სახელით, რუსთავში მცხოვრებ ბიზნესმენს მინის ნაკვეთი გამოსძალეს. გამოძიების ინფორმაციით, ისინი ერთ-ერთი ე.წ. „კანონიერი ქურდის“ დავალებით მოქმედებდნენ. პოლიციამ სამივე ბრალდებული რუსთავში, საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დააკავა.

საპარტიველო სირიას 100 ათასი დოლარით დახმარება

საპარტიველო საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მთავრობა მყისიერად გამოეხმარა იმ ჰუმანიტარულ კრიზისს, რომელიც სირიაშია. ჯანელიძის თქმით, საქართველო სირიას 100 ათასი დოლარით დაეხმარება: „პრემიერმა გამოთქვა მზაობა დახმაროს იმ ბავშვებს, რომლებიც განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ ჩვენ გვქონდა აქტიური კონსულტაციები გაერო-სთან და ყველა გზები გამოვიკვლიეთ, თუ როგორ შეიძლებოდა ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. საბოლოო ჯამში შეთანხმდა, რომ ჩვენ გავუწევთ ფინანსურ დახმარებას 100 ათასი დოლარის ფარგლებში გაერო-ს სპეციალიზებული ფონდის მეშვეობით. მთავრობის გადაწყვეტილებით, საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ დახმარებას განახორციელებს“, - განაცხადა ჯანელიძემ.

დაიგახსოვრეთ ეს სახელები

ქართული ბრენდის დღე - 2016

ამ დღეებში ნაციონალური ბრენდების რიგით მე-ოთხმეტე დაჯილდოების ცერემონია გაიმართა სასტუმრო „ბილთმოთი-თბილისის“ საკონფერენციო დარბაზში. ქართული ბრენდის დღეს ქართულ ბაზარზე მიმდინარე პროცესებს, მათი განვითარების ყველა ეტაპს წარმოაჩენენ, აფასებენ და აჯილდოებენ. პროექტი და- პატენტებულია 2005 წელს, მისი საავტორო უფლება საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პრო-ფილს“ ეკუთვნის, დამფუძნებლები კი ელგუჯა მარლია და მანანა გეგიძე არიან. წლებადღე დაჯილდოებაზე ნომინაციები ასე გა- დანაწილდა:



ინფორმაციული ბრენდი საქართველოს რკინიგზა. იგი ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც უმოკლესი გზით ევროპას ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს. ის საქართველოს ეკონომიკასა და ქვეყნის განვითარების მთავარი და მამოძრავებელი ლერძია, აგერ უკვე რამდენიმე ხნის მანძილზე. საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით საგანელიძემ დაჯილდოებასა საქართველოს რკინიგზის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს დაჩი ცაგურას. ლიდერი ბრენდები გამოვლინდნენ: ფარმაცევტული კომპანია „ასპ“, კლინიკა „ნემოლიტი“, სავაჭრო ცენტრი „თაილისიოლი“, რადიო „ფორტუნა“, „გურჯაანის ნაჭი“, ნატალია კვანტალიანის საავიციონო ცენტრი, „ისი პარი“, შურნალი „სარკე“, სილაშაშის სალონების ცენტრი „ნატალი“ და სამშენებლო კომპანია „დაბი“ (კომპანიის ხელმძღვანელი თამარ ჩხეტიანი). ამ კომპანიას 14 წლის განმავლობაში 350-ზე მეტი სამშენებლო პროექტი აქვს განხორციელებული. გამოცდილება, კვალიფიციური ინჟინრებისა და არქიტექტორებისაგან შემდგარი ერთიანი ჯგუფი წარმატებულ და მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ასოცირდება, თანაც წლის მოვლენა - დავით ალმაშენების გამზირის რეაბილიტაცია მათ ეკუთვნის. ახალი ქართული ბრენდის ნომინაციები გამარჯვებულები არიან: სასტუმრო „პარიზ-რუსოტი“, ქართული ბრენდი „ნენა“, ქართული ხორბლის პური „მზა-თამაზა“, რესტორანი „თაზრა“, კურორტი „დრიმლანდ ოაზისი“, „ატალი-27“.

დოკა-ჩაუჭაყაძის ნომინაციაში გამარჯვებულები არიან: საინფორმაციო სააგენტო „პარიზ-თაიში“, პრეპარატი „გული ელექსირი“, რომელიც შექმნა აკადემიკოსმა კახა საბახტარიშვილმა, ღვინო დავარაშვილის საფუძვლიანო კლინიკა, მაკა მახარაძის სა-



ბალეტო სტუდია, „კახური ტრადიციული მედიცინა“, მისტერ შაკიტო, ქართული ბრენდი „ქალთა ბედნიერება“, ქართული ბრენდი „გაორბინა“, ესთეტიკური მედიცინის ცენტრი „დარმა“.

ბელეაროქაჩი: პირადი ექიმი - მარი მაღაზონია (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „იკა სოფარიას შოუ“ (იმედი) და „დამზადებული საპარტიველო“ (მაესტრო). წარმატებული ინტერნეტ-მედია პროექტი: „ამაგი ჯი“. სპეციალური პრიზი გადაეცა ქართულ-მხრულ ქალთა ასოციაციას, „ნაშუა პარტის“, ინგა გლეხის ფსიქოლოგიურ ცენტრს და საბავშვო ანსამბლ „გვირილას“ სამხატვრო ხელმძღვანელს, ღირსების ორდენის კავალერს მინა ნიჭურას, რომელმაც უკვე 20 წელია, საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ასევე სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა დირიჟორი ვახტანგ კახიძე, ხოლო ბრენდ „პერსონას“ ტიტული მიენიჭა გამომგონებელ ქართველ რეჟისორს რობერტ სტურუას. დაჯილდოების ცერემონიაზე გაიმართა მოდების ჩვენება, თავი დაგვამახსოვრა ულამაზესმა ახალგაზრდა მოდელმა სოფო ფარულავამ, შესრულდა ასევე საკონცერტო ნომრები ლელა წურწუმიას, ჯულიეტა ბარგნარის და ოთო ფოლადაშვილის, ანსამბლ „გვირილას“ სოლისტების და მკა მახარაძის ბალერინების მონაწილეობით.



თოვლის პაპა, სანტა-კლაუსი, დედ მოკოში და სხვები



ჩვენებურ თოვლის პაპას ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში სანტა-კლაუსს ეძახიან და იგი ბოლო წლებში ჩვენშიც საყვარელი და ახლობელი გახდა.

მისი რეზიდენცია ფინეთის ერთ-ერთი კუთხის – ლაპლანდიის დედაქალაქ როვანიემიდან ცხრა კილომეტრის მოშორებითაა. საამის ხალხის ამ სოფელს იოლუპუკი პეკია და იქ სანტა-კლაუსის თანაშემწე-ჯუჯები, რომელსაც მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ბავშვები საახალწლო ანგარიშებს უგზავნიან და თხოვნებითაც მიმართავენ, მთელი წლის მანძილზე გამოსასვლელი დღეების გარეშე მუშაობენ. ისინი კი, ვისაც ლაპლანდიაში, სოფელი იოლუპუკში საახალწლოდ ჩასვლის ბედნიერება ერგება, სანტა-კლაუსს თავიანთ სანუკვარ სურვილს ყურში ჩასაჩურჩულებენ ხოლმე, რის დასტურად საგანგებო საბუთს იღებენ, რომელსაც წარწერა – „პოლარული წრე, ლაპლანდია“ – ამშვენებს.

ცნობილია, რომ სანტა კლაუსი მარხილით მგზავრობს, რომელშიც ირმები არიან შებმული. ამ ირმების თიკუნებია დეშერი, დენსერი, პრენსერი, ვიქსენი, კომეტი, კიუბიდი, დონერი და ბლიტცენი, მათი წინამძღოლი კი წითელცხვირა რუდოლფია.



ჩვენმა პატარებმა იცინან, რომ საახალწლოდ ხელდაგზავნეული თოვლის პაპა სანტა-კლაუსს ხინდარ ბავშვებთან მაღალმთიანი სვანეთიდან ჩამოდის. უბრალოდ თოვლის პაპა, გნებავთ – ბაბუა მსოფლიოში ყველაზე უშიშარი და სიმბათიურია. ამ კეთილშობილ სვანს ბავშვებისთვის მზის საგალობელი „ლილეოც“ კი ჩამოაძვს!

რუსეთში დედ მოროზი კი, რომელიც დაბადების დღეს 18 ნოემბერს აღნიშნავს, ჩრდილოეთის ქალაქ ველიკი უსტიუგში დაიბადა, სადაც ამ დროს უკვე ზამთარი დგება. მისი უცვლელი თანმხლები გოგონა სნეგუროჩკა ქალაქ კოსტრომში დაიბადა.



ყოველ წელს ბავშვებთან მიდიან თოვლის პაპები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან – შახთა ბაბა და გარ გიზი – აზერბაიჯანიდან, ძმერპაპი – სომხეთიდან, ზიუზია – ბელარუსიდან, სილვესტრი – ავსტრალიიდან, დიადო კოლედა – ბულგარეთიდან, პაპაი ნოელი – ბრაზილიიდან, ფაზერ ქრისტომახი – დიდი ბრიტანეთიდან, მიკულაში, ანუ ტელაპო – უნგრეთიდან, ვაინაპტსმანი, ანუ ნიკოლაუსი – გერმანიიდან, აიოს ვასილისი – საბერძნეთიდან, დადა, სანტა, ლაქში – ინდოეთიდან, ოლენტცერო – ესპანეთიდან, ბაბო ნატალე, ანუ ბეფანი – იტალიიდან, შენ დან ლეოსენი – ჩინეთიდან, წმინდა ვასილი – კვიპროსიდან, სალავეცილი – ლატვიაიდან, პერ ნოელი – საფრანგეთიდან, წმინდა მიკოლა – პოლონეთიდან, ნოელ ბაბა – თურქეთიდან, იულტომენი და ჯუჯა იულნისარი – შვედეთიდან, კრისტკინდი, ანუ ბაბო ნატალე – შვეიცარიიდან, დაიდაინი ნა ნოლაიგი – შოტლანდიიდან, სეგაცუ-ორიხანი – იაპონიიდან...

სახალწლო მოზაიკა

იხით თუ არა, რომ:

- **დედამიწაზე** ახალ წელს პირველები ოკეანეთის კუნძულ კირიტიმატის და სამეფო ტონგას ქალაქ ნუკუალოფას მცხოვრებნი ხვდებიან.
- **პირველი** ელექტრონული გირლანდა ნაძვის ხეზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ 1895 წელს აინთო.

ამორბედის შესახებ პირველი ცნობები მესოპოტამიიდან მოდის და ჩ.წ.ა.-მდე მე-3 ათასწლეულით თარიღდება.

• **სახალწლო** ნამცხვრის საწვლელებლთა შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია კოჭა.

• **ძველ ეგვიპტეში** ახალი წელი ზაფხულის დასაწყისში, ნილოსის წყალდიდობის დაწყებ



• **ფოიერვერკების** გაშვების ტრადიცია უძველესი დროიდან მოდის და ჩვენს წინაპართა ცრურწმენას ეფუძნება, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ცეცხლსა და სმაურს ბოროტ სულთა განდევნა შეუძლიათ.

• **პირველი** მისალოცი საშობაო ბარათი ინგლისში 1843 წელს გაჩნდა.

• **ახალი წლის** ზემის წინ-



ბის დღეს დგებოდა.

• **ძველ რომში** კი ახალ წელს მარტში ზემობდნენ: სწორედ ამ დროს იწყებოდა საველე სამუშაოები. ჩ.წ.ა.-მდე 46 წელს იმპერატორმა იულიუს კეისარმა ახალი წელი იანვარს გადმოიტანა. მის პატივსაცემად ახალ კალენდარს იულიანური ეწოდა და ის შემდეგ მთელ ევროპაში გავრცელდა.

ნაძვის ხე, ნაძვის ხე!..

ახალი წელი უნაძვისხეოდ, აბა, ვის გაუგია? მას, უმეტესწილად, ბინის სასტუმრო ოთახში დგამენ, მაგრამ ზოგჯერ სამზარეულოშიც მიუჩვენებ ხოლმე ადგილს. თუკი თქვენც ასე მოქცევას გადაწყვეტთ, მაშინ იქნებ ჩვენი რამდენიმე რჩევაც გამოგადგეთ:

• **კარგი გუნებ-განწყობის** შესაქმნელად, ნაძვის ხე ვაშლებითა და კვერებიტით მორთეთ. კაკლები შეგიძლიათ ოქროსფერ და ვერცხლისფერ ქაღალდებში გაახვიოთ. ნაძვის ხის გვერდით კი სურნელის გამწვრქვევი ლამპარი დადგით და ახალ წელს თქვენს სამზარეულოში წინვის, დარიჩინისა და მანდარინის სურნელება დატრიალდება!

• **თანაც ნაძვის ხის** მორთვისას ეცადეთ დიდი და პატარა ბურთები ერთმანეთში არე-

ულად დაკიდოთ – ასე მორთულობის უფრო დინამიკური „ნახაზი“ გამოგვივათ.

• **არ დაგავწყვეთ** ასევე „პირამიდის წესის“ დაცვა: დიდი სათამაშოები ქვედა ტოტებზე დაკიდეთ, პატარები – ზედაზე. იმისათვის, რომ ნაძვის ხე უფრო ფუმფულა შესახედი იყოს, მასზე მწვანე ფერის სათამაშოები დაკიდეთ. ასევე ერთმანეთს შეუწაცვლეთ მოგუდული ელფერისა და ხასხასა, ბრჭყვილა მოსართავები.

• **როცა ნაძვის ხის** მოსართავი სათამაშოები შენახვის დრო მოვა (ჩვენში ეს, ჩვეულებრივ, ნათლისღების დღესასწაულის – 19 იანვრის წინ ხდება ხოლმე), დიდი ბურთები უმჯობესია კვერცხის ყუთებში შეინახოთ, წვრილ-წვრილებს კი პლასტიკის ჭიქებში მიუჩინეთ ადგილი.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 სულხან-საბაძე ქ. №3

მთავარი რედაქტორი
 სპარტაკ ქობულაძე
 293-13-34
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
 გურამ გომიანიძე
 599 53-76-16;
 ალექო
 ასლანიშვილი
 599 56-81-86;

რუსლან რუსია
 599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
 მამუკა ვაშაძიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „თანადგომა“-1 გაზეთ
 „საქართველოს რესპუბლიკის“
 გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 შპს „ახალი საუკუნე“
 იბეჭდება გამომცემლობა
 „კოლორში“
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
 ს-323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საჩუქრადღეობად!
 რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერა, იყიდა, წაიკითხა!

	უხსოვარი პალატის ქარსი: აშშ ფონი - 2.6441; მკრ - 2.7596; ბრიტანული ბირჟის სტარლინი - 3.2327; 100 რუბლი - 4.3631; თურქული ლირა - 0.7469; აზერბაიჯანული მანათი - 1.4713; 1000 სომხური დრამი - 5.4743.	აქილი 30 დეკემბრისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბაზი - ღამე -5 ღამე +13 შიშანი რაიონი - ღამე -10 ღამე +9 დასავლეთი საქართველო: ბაზი - ღამე +3 ღამე +15 შიშანი რაიონი - ღამე -5 ღამე +11 თბილისი: ღამე -2 ღამე +12	დაგვიკავით, მოგვწერათ: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 WWW.SAKRESP.GE
--	---	--	--